# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი შაბათი 3 სექტემბერი 2005 №201 (2524) ფასი 50 თეთრი


# დღეს საქართველო — უკრაინაა



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 9 | 7 | 2 | 0 | 15:3 | 23 |
| თურქეთი | 9 | 4 | 4 | 1 | 19:7 | 16 |
| საბერძნეთი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:7 | 15 |
| დანია | 8 | 3 | 3 | 2 | 13:8 | 12 |
| ალბანეთი | 9 | 3 | 0 | 6 | 7:16 | 9 |
| საქართველო | 8 | 2 | 2 | 4 | 12:17 | 8 |
| ყაზახეთი | 8 | 0 | 0 | 8 | 3:23 | 0 |

## გუშინ კი ეროვნულზე უკრაინა — საქართველო იყო

## U 21 სამი და არაფერი, სულ არაფერი




ბადრი ქიოლაშვილის ფოტო




## ხუთჯვრიანები ერთჯვრიანებთან

### მისია შესაძლებელია

 აი, დადგა 3 სექტემბერიც, ქართველი კალათბურთელების დიდი გამოცდის დღე. ხუთჯვაროსანთა ახალ თავკაც გორდონ ჰერბერტს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს — ზაზა ფაჩულიათი, ვლადიმერ ბოისათი და შემონდ უილიამსით წელგამართულ ჩვენს ნაკრებს ჰელსინკში ერთჯვაროსან ფინელებთან უნდა გაამარჯვებინოს, თორემ დიდი ამბიციის მქონე ქართველობა მინიმუმ 2009 წლამდე გამოეთხოვება ელიტაში თამაშის შანსს. საქართველოს ნებისმიერი ანგარიშით მოგება აძლევს ხელს და მერე, 7 სექტემბერს ჯგუფიდან გასასვლელ მატჩში მაკედონიას ხვდება თბილისში. მისია ძნელად შესასრულებელია, მაგრამ არა შეუძლებელი. მიდით, ბიჭებო!!!

## ქართველთა საქაირო ქარავანი



8-12 სექტემბერს ეგვიპტის დედაქალაქში ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. საქართველოს ნაკრები მოსამზადებელი ციკლის ბოლო შეკრებას ლიკანში გადის. გუშინ ეროვნულის თავკაცმა შოთა ხაბარელმა ქაიროში წამსვლელი საბოლოო შემადგენლობა გამოაცხადა.

პირად პირველობაში საქართველოს ღირსებას ნესტორ ხერგიანი, დავით მარგოშვილი, დავით ქევხიშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი, ზურაბ ზვიადაური, გია გუგავა და ლაშა გუჯეჯიანი დაიცავენ, გუნდურში კი მათ გრიგოლ მამრიკიშვილი, ირაკლი ცირეკიძე, ივერი ჯიქურაული და გიორგი ყიზილაშვილი დაემატებათ.


მე-13 გვერდი

# 2006 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ ვიგონებთ!

თბილისი. 2 სექტემბერი. 19 საათი. ეროვნული. 3 000 (ტევადობა 70 900)

## საქართველოU21 0:3 უკრაინაU21

0:1 ფომინი (12), 0:2, 0:3 მილევსკი (23, 61)

**საქართველო:** რევიშვილი, ალადაშვილი, კ. მახარაძე (ჩირიკაშვილი 64), ხიდეშელი, ელიავა, გოგუა (გოცირიძე 46), განუგრავა (გვაძაბია 46), ხოხონიშვილი, ბ. ფიფია, წინამძღვრიშვილი
*სათადარიგონი:* თევდორაძე; ბუალავა, გ. თომაშვილი, დ. მჭედლიშვილი
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**უკრაინა:** პიატოვი, ბაშლაი, იაცენკო, ფომინი, ჩიგრინსკი, პუკანიჩი (ალიევი 76), მაქსიმოვი, სიტნიკი, ჩებერიაჩკო (იშჩენკო 64), იარმაში, მილევსკი (პივნენკო 76)
*სათადარიგონი:* შუსტი; ვეშჩუკი, არჟანოვი, ვორობეი
**მწვრთნელი:** ალექსეი მიხაილიჩენკო

**გაფრთხილება:** ჩიგრინსკი (43), გვაძაბია (48) ხიდეშელი (70), ჩიგრინსკი (71), გვაძაბია (73), იშჩენკო (85)

**გაძევება:** ჩიგრინსკი (71), გვაძაბია (73)

**მსაჯები:** მ. სედივი; მ. ვლჩეკი, ვ. ჰოლუბი; რ. მატიეჟეკი (ჩეხეთი)

**უეფას დელეგატი:** ვ. კრონდლი (ჩეხეთი)


გურამ ცერცვაძის ფოტო

არტიომ მილევსკიმ (№10) ქართველებს ორჯერ უთავაზა

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მიმდინარე შესარჩევ ციკლში უსუსტესი საშინაო მატჩი ითამაშა, მაგრამ ალიბს რა გამოლევს — ქართული ფეხბურთი უკრაინულს ჩამორჩება, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი უკრაინისაზე დაბლა დგას, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ახლა 1987-88 წლებში დაბადებული ფეხბურთელებიც თამაშობენ, ხოლო უკრაინისაში 1983-84 წლებში დაბადებულები...

მართლაც, ახალგაზრდულ ასაკში თუნდაც ერთი წლით უფროსებთან თამაში ცოტას როდი ნიშნავს და 17 წლის ფეხბურთელისთვის 21 წლისასთან ბრძოლა ძალიან ძნელია. მაგრამ ჩვენი ნაკრები გუნდების ხელმძღვანელმა გაიოზ დარსაძემ ასე ინება — ახალგაზრდული ნაკრებიც უნდა გაახალგაზრდავდეს, რათა მომავალი შესარჩევი ციკლისთვის მოემზადოს.

ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდაზე და განვითარებაზე კი ფიფა-უეფამ ჩვენს მწვრთნელებზე კარგა ხნით ადრე იზრუნა და ამიტომაცაა, რომ ახალგაზრდები 17, 19 და 21-წლამდელ ასაკობრივ გუნდებად დაჰყო. მაგრამ მერე ნოვატორი ვინ უნდა იყოს? მერე ვინ უნდა განახორციელოს მსოფლიო მასშტაბის საფეხბურთო პროექტები 17 წლის ფეხბურთელებით?

ახლა ერთ კონკრეტულ ამბავსაც მოგახსენებთ. 24 აგვისტოს საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალის მატჩში („ამერი" — „მეშაქრე") ამერელმა რატი წინამძღვრიშვილმა თავის ისეთი ტრავმა მიიღო, რომ ამნეზია დაემართა. ექიმებმაც, და არა მხოლოდ კლუბის, წინამძღვრიშვილს ათი დღით დასვენება ურჩიეს, მაგრამ 17 წლის წინამძღვრიშვილი ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს და 29 აგვისტოდან სრული დატვირთვით შეუდგა ვარჯიშს. საინტერესოა, რას ფიქრობს ამის შესახებ საქართველოს ნაკრებთა მწვრთნელთა მწვრთნელი?

ახლა გუშინდელი თამაში. ალბათ, გაგვიმართლა, რომ წვიმდა, თორემ სისწრაფეში აღმატებული უკრაინელები მშრალ მოედანზე როგორ იქმიტინებდნენ ჩვენებთან, წარმოსახვის დიდი უნარი არ სჭირდება. წკაპ-წკუპ და უკვე 0:2-ს ვაგებთ, თან რამდენიმე სახიფათო მომენტიც გააცუდეს უკრინელებმა. ერთი საგოლე შანსი მასპინძლებსაც ჰქონდათ — კარიდან გამოსულმა უკრაინელთა მეკარემ უხეიროდ მოიგერია ბურთი, მაგრამ გიორგი განუგრავამ ოცდაათიოდე მეტრიდან მეკარისგან მიტოვებულ კარს ვერ დაუმიზნა.

ტაიმის შუაწელიდან თამაში გათანაბრდა, წინამძღვრიშვილი მეკარესთან პირისპირაც კი აღმოჩნდა, მაგრამ შეყოვნდა, მცველი წამოეწია და დარტყმაც გაუცუდდა.

შესვენების შემდეგ კობა ჟორჟიკაშვილმა შეცვლებს და ტაქტიკურ გადაადგილებებს მიმართა, მაგრამ ამანაც არ გაჭრა — უკრაინა მძლავრობდა და ერთხელაც იყოჩაღა — ევგენი ჩებერიაჩკოს რეიდს არტიომ მილევსკის გოლი მოჰყვა.

ჩებერიაჩკო, მილევსკი, ალექსანდრ სიტნიკი, რუსლან ფომინი — ისინი უკვე თითქმის ზრდასრული ფეხბურთელებივით თამაშობდნენ და საერთოდ, ძალიან ბევრი ნიუანსით ჩანდა, რომ უკრაინა ჩვენზე მკვეთრად მაღლა იდგა.

გუშინ უკრაინის 21-წლამდელთა ნაკრებში ექვსი 20 წლის ფეხბურთელი იყო, ორი 22-ის, ორი ცხრამეტის, ერთიც 21-ის.

ჩვენს გუნდში კი ერთი 22-ის, ერთი 21-ის, ორი 20-ის, სამი 17-ის, ამდენივე 18-ის და ერთიც 19-ის.

საშუალო არითმეტიკულს აღარ გამოვთვლით, რადგან ეს ფეხბურთია და მას ალგებრული პათოსი არ სჭირდება — ნუ ვიგონებთ რალაცებს...

**ალბანეთი 3:1 ყაზახეთი**
**თურქეთი 3:2 დანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 9 | 7 | 1 | 1 | 26:10 | 22 |
| უკრაინა | 10 | 6 | 1 | 3 | 17:7 | 19 |
| თურქეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:8 | 17 |
| საბერძნეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 12:6 | 14 |
| საქართველო | 9 | 3 | 2 | 4 | 7:17 | 11 |
| ალბანეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:21 | 8 |
| ყაზახეთი | 9 | 1 | 0 | 8 | 5:16 | 3 |

## პრესკონფერენცია

*ალექსეი მიხაილიჩენკო:* შედეგზე ვითამაშეთ, რადგან მეორე ადგილზე გასვლა გვინდა. თურქეთთან მატჩისთვის კარგი განწყობა შევიქმენით. ჩვენი დაცვა მწყობრად იდგა, მაგრამ ინდივიდუალურ ორთაბრძოლებს ხშირად აგებდნენ. ბოლომდე საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ, რაც ძალიან მაშფოთებს.

... ქართველების ყაზახეთთან თამაშს რომ ვუყურე, გრიგალაშვილი მომეწონა, მაგრამ დღეს მან ვერ იაქტიურა. უფრო 10 ნომერს (რატი წინამძღვრიშვილი) გამოვყოფდი, რომელიც კარგადაც იხსნებოდა და ბრძოლასაც ხშირად იგებდა.

... ეს ლეგენდარული სტადიონია. მე მომიწია აქ თამაშმა და ოთარ გაბელიასთვის გოლიც მაქვს გატანილი. მიყვარს საქართველო, თბილი და სტუმართმოყვარე ქვეყანაა. გული იმაზე მწყდება, რომ ეს სტადიონი ახლა მოუვლელია, სკამები აყრილია და ტრიბუნებიც არ ივსება.

*კობა ჟორჟიკაშვილი:* სხვაობა თავადაც დაინახეთ. ჩვენი ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა მალე ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ითამაშებს და საამისოდ ვემზადებით.

... გოგიტა გოგუა და გიორგი განუგრავა პირველი ტაიმის შემდეგ იმიტომ გამოვცვალე, რომ ხვალ უკვე ეროვნულ ნაკრებში იქნებიან. მათ ბევრი წუნი ჰქონდათ, მაგრამ წამითაც არ გაიფიქროთ, თითქოს დიდი ნაკრებისთვის თავს ზოგავდნენ.

... ვერ ვიტყვი, რომ გოჩა ხოჯავა, რევაზ გეწაძე და სანდრო იაშვილიც რომ გვყოლოდა, უკრაინას მოვუგებდით. შეხედეთ მათ, 1983 და 1984 წლებში დაბადებული ფეხბურთელები ჰყავთ, ანუ ჩვენებზე სამი-ოთხი წლით უფროსები არიან. ამ ასაკში ერთ წელიწადსაც მნიშვნელობა აქვს.

... მერწმუნეთ, შედეგის უცებ მოსვლა გამორიცხულია. ქვეყანაში ვერცერთი სფერო გამართულად ვერ მუშაობს. არ მიწყინოთ, არც ჟურნალისტიკაა სათანადო დონეზე. ვინც არ უნდა იყოს მწვრთნელი, პრობლემები თავზე საყრელად დახვდება.

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. ახალგაზრდული ნაკრებები

III ჯგუფი
ესტონეთი 1:3 ლატვია
პორტუგალია 4:0 ლუქსემბურგი

IV ჯგუფი
შვეიცარია 0:0 ისრაელი
უელსი 0:4 ინგლისი

V ჯგუფი
მოლდოვა 1:0 ბელარუსი
შოტლანდია 2:2 იტალია
სლოვენია 2:2 ნორვეგია

VI ჯგუფი
პოლონეთი 2:2 ავსტრია
გერმანია 2:0 აზერბაიჯანი

VII ჯგუფი
ბოსნია 1:1 ბელგია
სერბეთი 3:2 ლიტვა

VIII ჯგუფი
ისლანდია 1:2 ხორვატია
უნგრეთი 2:0 მალტა
შვედეთი 2:0 ბულგარეთი

## ირლანდია

პრემიერლიგა. XXIII ტური
ბრეი 1:0 სტ. პატრიკსი
შელბურნი 4:2 დუბლინი
დროჰედა 1:1 დერი
ლონგფორდი 3:0 უოტეფორდი
ბოჰემიანი 1:3 შემროკი

## ინგლისი

I ლიგა. VII ტური
ბრედფორდი 2:0 ჩესტერფილდი
დონკასტერი 0:1 ბლეკპული
*ჯილინგემი — ბარნსი გადაიდო*
ჰადერსფილდი 1:4 სკანთორპი
ბორნმუთი 0:0 ტრანმერი

II ლიგა. VII ტური
დარინგტონი 1:1 ნოტსი
ჩელტენემი 1:1 ბარნეტი
ბერი 0:1 კარლაილი
უიკომბი 1:1 ნორთჰემპტონი
შრიუსბერი 2:0 ოქსფორდი
რაშდენი 0:2 პიტერბრო
გრინსბი 1:3 სტოკპორტი
ჩესტერი 3:1 მენსფილდი

კონფერენსლიგა. VI ტური
ფორესტ გრინი 1:2 გრეისი
კიდერმინსტერი 3:2 კონვი
იორკი 1:0 კემბრიჯი

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა. VIII ტური
ვოლენი 3:1 ლუგანო
შო დე ფონი 5:3 ვილი
იუვენტუსი 0:2 სიონი
კონკორდია 2:1 ბელინსონა
ბადენი 1:2 ლუცერნი

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. აფრიკა

III ჯგუფი. IX ტური
ლიბია 0:0 სუდანი

## საფრანგეთი

II დივიზიონი
გადადებული მატჩი
კაენი 3:0 ამიენი

## იტალია

სერია B. II ტური
კატანია 2:1 ბრეშა

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
VII ტური
ფორტუნა 2:2 ვერდერი (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა
V ტური
კიკერსი 3:1 ფულენდორფი
მიუნხენი (მ) 1:0 შტუტგარტი (მ)
აუგსბურგი 2:3 ტრირი

## ჰოლანდია

II დივიზიონი. VI ტური
აპელდორნი 3:1 კამბური
ვეენდამი 0:1 გრააფსხაპი
დორდრეხტი 0:1 ვოლენდამი
პსვ (მ) 1:1 მაასტრიხტი
ექსელსიორი 2:1 ზვოლე
ფორტუნა 0:2 ემენი
იგლსი 1:1 ოსი
ტელსტარი 2:0 ალმერე
ვენლო 2:1 ჰელმონდი




ალექსანდრე იაშვილი ნაკრების მაისურას დაეთხოვა

# ალექსანდრე იაშვილი: მართალიც ვარ და მომთმენიც

ფრაიბურგელი ალექსანდრე იაშვილი დღეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში უკრაინასთან ვერ ითამაშებს — მან გუშინწინ დატოვა შეკრება. რატომ? გუნდის თავკაც გაიოზ დარსაძის განცხადებით, როცა იაშვილმა შეიტყო, რომ უკრაინა-დანიასთან მატჩებში სასტარტო შემადგენლობაში არ იქნებოდა, ნაკრებიდან წავიდა. ამის შესახებ გუშინ თავად იაშვილს ვესაუბრეთ...

**— რატომ წამოხვედი სანაკრებო შეკრებიდან?**

— საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგადად, გუნდში მწვრთნელები და ფეხბურთელები იცვლებიან, ნაკრები კი რჩება და ამიტომ დღეს შეკრებიდან წამოსვლის მიზეზს ვერ გეტყვით — ახლა გუნდს თამაში აქვს უკრაინასთან და ამაზე ლაპარაკი არასწორი იქნებოდა. ვინც მე მიცნობს და ჩემს კარიერას თვალყურს ადევნებს, იცის, რომ მოთმინება არასდროს მაკლდა. მოკლედ, სანაკრებო შეკრებიდან წამოსვლის მიზეზს უკრაინასთან მატჩის შემდეგ გეტყვით.

**— დარსაძემ კი თქვა, სასტარტოში რომ ვერ მოხვდა, შეკრებიდან ამიტომ წავიდაო, თუმცა ნაკრების ძირითადში ადრეც ვერ მოხვედრილხარ, მაგრამ გუნდი არ მიგიტოვებია...**

— ჩემი სასტარტოში ვერმოხვედრა შეკრებიდან წამოსვლის მხოლოდ სანახევრო მიზეზია, დანარჩენს კი უკრაინასთან თამაშის მერე ვიტყვი.

**— შეკრებიდან წამოსვლის გადაწყვეტილება უცბად, ცხელ გულზე მიიღე?**

— არა, ფიქრის შემდეგ.

**— მიგაჩნია, რომ შენი გადაწყვეტილება მართებული იყო?**

— ნაკრები ჩემთვის უპირველესია და ამ გადაწყვეტილების მიღებაც ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს სწორი გადაწყვეტილება გახლდათ.

**— ითქვა, იაშვილი და დარსაძე ვარჯიშისას შელაპარაკდნენო...**

— არა, ასეთი რამ არ მომხდარა.

**დავით თავართქილაძე**

# მაგრად ვართ!

## დარსაძე სამქულიან პოტენციალს ხედავს

ალექსანდრე იაშვილის წასვლის მიუხედავად, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მაინც კარგი ატმოსფერო შეიმჩნევა. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდის გამოკლება სახეირო ამბავი ვერაა, მაგრამ დღეს უკვე უკრაინასთან თამაშია და ყურების ჩამოყრის დრო არ არის.

გუშინ ნაკრების ბაზაზე გაიოზ დარსაძემ პრესკონფერენცია გამართა, მის გარდა კი ჟურნალისტთა კითხვებს ლევან კობიაშვილი, კახა კალაძე, გიორგი დემეტრაძე და ზურაბ ხიზანიშვილიც პასუხობდნენ...



**— ჯერ ალექსანდრე იაშვილის ნაკრებიდან წასვლის მიზეზებზე გვითხარით...**

*დარსაძე:* მოახლოებულ ორ მატჩში ჩვენ გარკვეული მონახაზი გვაქვს, რის მიხედვითაც იაშვილს თავიდან სათადარიგო სკამზე მოუწევდა ყოფნა, რაც მან არ ისურვა და ნაკრები დატოვა. ეს არის და ეს.

**— იაშვილისგან მსგავსი რეაქცია აქამდე არ გვახსოვს და რატომ მოიქცა ასე?**

*დარსაძე:* ეს მას ჰკითხეთ.

**— გუნდის მზადყოფნით კმაყოფილი ხართ?**

*დარსაძე:* კი, ყველანაირად ნორმალური ატმოსფეროა. ვარჯიშებზე საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ ბიჭები. აქვე გია იმედაძესა და შალვა ღონღაძეზეც ვიტყვი: ისინი ოფიციალურად არ არიან გამოძახებულნი, მაგრამ ზოგჯერ მაქვს ისეთი ვარჯიშები, როცა თერთმეტი თერთმეტზე თამაში გვჭირდება.

**— უკრაინის ნაკრების ძლიერ და სუსტ მხარეებზე რას იტყვით და რა იქნება ჩვენი კოზირი?**

*დარსაძე:* წინასწარ ლაპარაკი არ მინდა. ყაზახეთთან შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, საქართველოს ნაკრებმა ბოლო მატჩებში ძალიან ბევრი გოლი გაუშვა და ეს ხარვეზი უნდა გამოვასწოროთ.

*დემეტრაძე:* უკრაინა ძალიან კარგი გუნდია. შევჩენკოს ფაქტორიც რომ არა, კიევის „დინამოს", „შახტარის" და „დნიპროს" მოთამაშეები ჰყავთ. მიუხედავად ამისა, მოგებას ვაპირებთ.

**— ფრე თუ დაგაკმაყოფილებთ?**

*დარსაძე:* საქართველოს ნაკრებს აქვს იმის პოტენციალი, რომ მოგებაზე ითამაშოს.

*კობიაშვილი:* უკრაინას ერთი მოგებაღა სჭირდება მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის გასანაღდებლად და, ცხადია, მაქსიმალურად ეცდება, რომ საქმე თბილისშივე მოითავოს, თუმცა ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, მოგება ჩვენც გვჭირდება.

*ხიზანიშვილი:* „ბლექბერნთან" ყველაფერი მოვაგვარე და ახლა მთლიანად უკრაინასთან მატჩზე ვფიქრობ, გუნდი კარგ ფორმაშია, რაც ვარჯიშებზეც გვეტყობოდა. ვნახოთ...

**— ანდრეი შევჩენკოს თამაში ჯერ კიდევ საეჭვოა. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, შეძლებს იგი მინდორზე გასვლას?**

*კალაძე:* ანდრეის „ასკოლისთან" მატჩში კოჭი გადაუბრუნდა, მაგრამ რადგან თბილისში მოდის, ალბათ, ითამაშებს. მთლიანობაში ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრაა ჩვენთვისაც და უკრაინისთვისაც. ცარიელი ტრიბუნებით თამაში ცუდია, მაგრამ ვერაფერს შევცვლით.

**— მალხაზ ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივში" მცველად თამაშობს, მაგრამ თქვენ სად ხედავთ მის ადგილს და თავად მალხაზს სად ურჩევნია?**

*დარსაძე:* მე ვიცი, მალხაზს სადაც ურჩევნია თამაში. ეს პრობლემა არ იქნება, როგორმე გამოვუძებნით ადგილს. საერთოდ, რაც ნაკრებში დავინიშნე, არც ერთ ფეხბურთელს არ გამოუთქვამს პრეტენზია, ჩემი ადგილი აქაა და რატომ აქ არ მათამაშებთო.

**ილია ნანობაშვილი**



# გუშინ შევჩენკო

## ანდრეი შევჩენკოს ვარსკვლავური სიტყვა:



ანდრეი შევჩენკო და ავტოგრაფები, ავტოგრაფები...



**გუშინ,** 14 საათზე, თბილისში უკრაინის ეროვნული ნაკრები ჩამოვიდა. ჩამოვიდა გუნდი, რომელსაც ნაბიჯიღა აკლია 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპამდე; გუნდი, რომელსაც ჰყავს ბევრი საშუალო დონის ფეხბურთელი და ერთი სუპერვარსკვლავი; გუნდი, რომელიც მალე გახდება მეორე პოსტსაბჭოურ ქვეყნებში (რუსეთის მერე), მუნდიალზე რომ ითამაშებს და გუნდი, რომელიც უხმოდ, ყოველგვარი კომენტარის გარეშე ტოვებს აეროპორტს, ადის ავტობუსში, ბინავდება „მარიოტში"... მოკლედ, „ბეზ კომენტარიი"...

აეროპორტში მისულებს ლოდინი საკმაო ხანს მოგვიხდა. გუნდს, ჟურნალისტებისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლების გარდა, ხვდებოდა ერთიორი უკრაინელიც, რომლებიც გუშინწინ ჩამოჰყვნენ ახალგაზრდულ ნაკრებს. ისინი ძირითადად ორგანიზაციული მხარეების შეთანხმება-შემოწმებით იყვნენ დაკავებულნი და ერთ მომენტში უკმაყოფილებაც გამოთქვეს ავტობუსის გამო, თუმცა ქართველებმა პრობლემა მალე მოაგვარეს და უკრაინის ნაკრებსაც სამი წუნდაუდებელი ავტობუსი დაახვედრეს.

იმ უკრაინელებისგან შევიტყვეთ, რომ დელეგაცია სამი თვითმფრინავით აპირებდა თბილისში ჩამოსვლას — მათგან ერთით უკრაინის ყოფილ პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას უნდა ემგზავრა, მეორით ანდრეი შევჩენკოს, ხოლო მესამით — გუნდს. იმასაც ამბობდნენ, შესაძლოა, „შევა" VIP-დან გამოვიდეს პირად დაცვასთან ერთად და ცალკე მივიდეს სასტუმროშიო. სხვათა შორის, ამგვარი ხერხით მსოფლიო ფეხბურთის სუპერვარსკვლავმა ამ შესარჩევ ციკლში ორჯერ ისარგებლა — ჯერ ალბანეთში და მერე თურქეთში საკუთარი თვითმფრინავით ჩაფრინდა, რამაც უკრაინაში საკმაო უკმაყოფილება გამოიწვია.

მოკლედ, საბოლოოდ ასე გამოვიდა — უკრაინელები ორი თვითმფრინავით გვესტუმრნენ — შევჩენკომ გუნდთან ერთად ყოველგვარი დაცვის გარეშე იმგზავრა, კუჩმა კი ნახევარი საათით გვიან ჩამოფრინდა.

...და აი, უკრაინელებმა აეროპორტიდან გამოსვლა იწყეს — ჯერ ჟურნალისტები გამოვიდნენ, დაახლოებით ოცდაათი კაცი, მერე მწვრთნელები, ექიმები... ფეხბურთელთაგან პირველი დონეცკის „შახტარის" კაპიტანი ანატოლი ტიმოშჩუკი გამოჩნდა, მერე სერგეი რებროვი, ანდრეი ვორონინი... „შევა" არ ჩანს...

ნახევარი გუნდი უკვე გამოვიდა და უხმოდ ავიდა ავტობუსში. „გამარჯობა, ვიკა გრუზია!" — ხალისიანად შემოგვძახა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ბორის ვოსკრესენსკიმ და მას ფეხბურთელთა მეორე ჯგუფიც მოჰყვა — ცნობილთაგან ანდრეი გუსინი და ალექსანდრ შოვკოვსკი გამოჩნდნენ, „შევა" კი... სად არის „შევა"? თითქმის ასი-ასორმოცდაათი კაცი უკრაინელ სუპერფორვარდს ელის — ზოგი



ოლეგ ბლოხინი



საგანგებო დახვედრა ლეონიდ კუჩმასთვის

# თბილისში ჩამოვიდა

## მე საქართველოში ვარ და ეს ძალიან მიხარია





ავტოგრაფისთვის (უკეთეს შემთხვევაში ფოტოს გადაღება), ზოგი თუნდაც უმცირესი ინტერვიუსთვის, ზოგიც უბრალო ინტერესის გამო — ვინ იცის, ამ დონის ფეხბურთელი კიდევ როდის ჩამოვა თბილისში...

...და ტაში! ჩვენ წინაშეა ანდრეი შევჩენკო, ვისაც ხალხი მხურვალე აპლოდისმენტებით შეეგება: „შე-ვა“, „შე-ვა“! ვინ არ ემახის, ვინ არ სთხოვს, ყველას უნდა, შევჩენკომ მისკენ მიიხედოს. ანდრეიმ უხმოდ მოუწერა ხელი რამდენიმე „ავტოგრაფისტს“ და როცა დელეგაციის მავანმა წარმომადგენელმა უთხრა, დროა, ავტობუსში ავიდეთო, გაკვირვებულმა უპასუხა: „ეს ხომ ჩემი მოვალეობაა?!“

„მოვალეობამ“ დიდხანს მაინც არ გასტანა — შევჩენკო ავტობუსისკენ გაემართა, ჟურნალისტებს კი კომენტარის ნაცვლად მოკლედ მოგვიჭრა: „რა გითხრათ? მე საქართველოში ჩამოვედი და ეს ძალიან მიხარია.“ მორჩა!

...აეროპორტიდან კი ბოლო ოლეგ ბლოხინი გამოვიდა, თუმცა მანაც პირში წყალჩაგუბებულმა ისეთი სისწრაფით „შეაფარა“ თავი ავტობუსს, რომ...

აეროპორტი — სასტუმრო — სტადიონი: ასეთი განრიგი ჰქონდა გუშინ უკრაინელებს. მათ ვარჯიშზე ვერაფერს გეტყვით, რადგან დახურული იყო, სასტუმროში კი დიდი წვალებით ორ ფეხბურთელსღა გამოველაპარაკეთ, თუმცა მანამდე ისიც ვთქვათ, რომ „მარიოტში“ შესვლამდე შევჩენკოს კინაღამ ხიფათი შეემთხვა — ანდრეიმ საბარგულიდან გამოტანილი ჩანთა მოიმარჯვა, მაგრამ უცაბედად ბორდიურზე თავი ვერ შეიმაგრა და... ინერციით გაქანებულმა იქვე დადებულ რკინის ყუთს მარცხენა ფეხი მიარტყა. სიმწრისგან დაღრეჯილმა შევჩენკომ ფეხზე ხელი მოიკიდა, ტვირთის დამდებს მკვლელის თვალებით გახედა და... სასტუმროში შევარდა. სხვათა შორის, ანდრეიმ ზუსტად ის ფეხი ახლახან სერია A-ში, „ასკოლი“ — „მილანის“ მატჩში დაიშავა და ნაკრებსაც მოგვიანებით შეუერთდა.

ახლა კი დაპირებული კომენტარები...

*ანატოლი ტიმოშჩუკი:* საქართველოსთან, რა თქმა უნდა, მოსაგებად ვითამაშებთ, თუმცა არც ის დაგავიწყდეთ, რომ ოთხ დღეში შინ თურქეთს ვხვდებით და ხვალ რომც ვერ მოვიგოთ, არაფერს ვკარგავთ. მაგრამ ამაზე ახლა სულაც არ ვფიქრობ — ჯერ საქართველოსთან უნდა ვეცადოთ ჩვენსას. გუნდში მშვენიერი განწყობაა და იმედი მაქვს, ყველაფერი საჩვენოდ დასრულდება.

*ანდრეი გუსინი:* ხვალ გადამწყვეტი მატჩი გვაქვს და იოლ გასეირნებას არ ველი. საქართველოს ნაკრების ძალა ვიცით და მიუხედავად იმისა, რომ ცარიელი ტრიბუნების წინაა თამაში, თქვენებს მოედნის უპირატესობა მაინც აქვთ. ისე კი, ჯგუფში ყველა გასვლითი მატჩი მოვიგეთ.

**ქახა შალამბერიძე**

***ბადრი ქეთილაძის ფოტოები***








ანდრეი გუსინი



ანატოლი ტიმოშჩუკი

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## დათვლა ქულების და დაშავებულთა

II ჯგუფი

თურქეთი — დანია

სავარაუდო შემადგენლობები:

**თურქეთი:** ვოლკანი, აკიელი, იბრაჰიმი, ალფაი, ოზათი, ოკან ბურუქი, ბაშთურქი, სელჩუკ სალჰინი, შაში, შუკური, ფათიჰ თეკე

**დანია:** სორენსენი, პრისკე, ჰელვეგი, აგერი, ნიკლას იენსენი, პოულსენი, გრავესენი, კლაუს იენსენი, იორგენსენი, რომედალი, ტომასონი

**ქართველებს** სხვა მიზანი აქვთ — ვაი, რომ ისეთი აღარ, როგორიც თურქებს და დანიელებს. ისინი ერთმანეთს ხვდებიან და ორივეს, მოგეხსენებათ, მუნდიალზე გასვლა სურთ.

„თუ ჩვენ დანიასაც მოვუგებთ და მერე უკრაინასაც, ვფიქრობ, პრობლემები აღარ გვექნება" — ცხრილში ჩაიხედა, იანგარიშა და განაცხადა ფათიჰ თერიმმა, ვინაც ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ივნისში ერსუნ იანალი შეცვალა.

თუმცა ვინ იცის... სადღეისოდ თურქებს ერთი ქულით ჩამორჩებიან ბერძნები და ვინძლო, ოსმალებს ბოლო ტურში ალბანეთთან გამარჯვებაც უცილობლად დასჭირდეთ.

ახლა დანიელებისაც ვთქვათ. ისინი ჩინებულ გუნებაზე ბრძანდებიან. მიზეზი ნათელია: ახლახანს ამხანაგურ მატჩში ინგლისს 4:1 სძლიეს და ეს მათი პირველი გამარჯვება იყო კუნძულელებზე ბოლო 25 წელიწადში.

რა თქმა უნდა, ოფიციალური მატჩი სულ სხვაა, მაგრამ დანიელთა მწვრთნელი მორტენ ოლსენი ამბობს, ჩვენ ახლა გაცილებით ძლიერები ვართ, ვიდრე წინა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისას ვიყავითო.

თურქთა შემადგენლობაში პრობლემებია: რუშთუ რეჩბერი, თუნჯაი და ნიჰათ კავეჩი კარგა ხნის დაშავებულნი არიან, „ინტერიდან" „ნიუკასლში" გადაბარგებულმა ემრე ბელოზოღლუმ კი ტრავმა ახლახანს მიიღო.

დანიის ნაკრებში კი ერთი ახალწვეულია — ოლსენმა „კოპენჰაგენის" მცველი ლარს იაკობსენი მიიწვია, ვინაც პერ ნილსენი შეცვალა. „ბრონდბიუს" კაპიტანმა ჩემპიონატის მატჩში ყბა მოიტეხა.

**კოტე ძეძელია**



ზინედინ ზიდანმა საფრანგეთს საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნა

## მაკაის ერევანი მიუნხენშია

I ჯგუფი

სომხეთი — პოლანდია

ანდორა — ფინეთი

რუმინეთი — ჩეხეთი

სავარაუდო შემადგენლობები:

**რუმინეთი:** ლობონტი; კონტრა, ტამასი, კივუ, რატი, პეტრე, კოდრეა, მუნტეანუ, კომანი, დიჩა, მუტუ.

**ჩეხეთი:** ჩეხი; გრიგერა, ბოლფი, უიფალუში, იანკულოვსკი, პობორსკი, პოლაკი, როსიცკი, შმიცერი, ბაროში, კოლერი

**ბუქარესტში** წაწყა-გლეჯა იქნება, რადგან რუმინეთს ჩეხებთან აუცილებლად მოგება სჭირდება. მასპინძლებს ორი მატჩი დარჩათ სათამაშო. გამარჯვების შემთხვევაში რუმინელები მეორე ადგილზე გადავლენ, მაგრამ მაინც ჩეხების ოთხ დარჩენილ მატჩზე იქნებიან დამოკიდებულნი.

„სამწუხაროდ, ჩვენ დასასრულისკენ ავთამაშდით კარგად და დაკარგულ ქულებს ვეღარ დავიბრუნებთ მიუხედავად იმისა, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის დამარხცხებას შევეცდებით — თქვა მასპინძელთა მცველმა კრისტიან კივუმ — მუნდიალზე რომ ვერ მოვხვდეთ, ჩეხების ძლევით ახალი გუნდის შენებას დავიწყებთ, რომელიც ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ითამაშებს".

რუმინელთა შემადგენლობაში შესაძლოა, 37 წლის დორინელ მუნტეანუ გამოჩნდეს და ეროვნულ ნაკრებში 126-ე მატჩი მიითვალოს. ასე თუ მოხდა, მუნტიანუ გეორგ ჰაჯის რეკორდს (125 მატჩი) მოხნის.

ანდორასთან დუბლს შემსრულებელ ადრიან მუტუს, შეტევაში „სტიაუას" ფორვარდი ნიკოლაე დიჩა შეუწყვილდება.

„ჩეხებს ჰყავთ ფეხბურთელები, რომლებსაც პაველ ნედვედის შეცვლა შეუძლიათ — თქვა მუტუმ — ასე რომ, მისი არყოფნა მეტოქეს ვერ დაასუსტებს". ჩეხთა კაპიტანი ტომაშ გალაშეკი გუშინწინ ვარჯიშზე დაშავდა. მის ადგილს, სავარაუდოდ, „ნიურნბერგის" ლეგიონერი იან პოლაკი დაიკავებს, რომელმაც განაცხადა: „ბუქარესტში მოსაგებად მივიდვართ. კარგი იქნება, გოლს თუ გავიტანთ, თუმც მთავარი, მაინც სამი ქულაა".

ჯგუფის ყოჩი ჰოლანდია ერევანში როი მაკაის გერეშე ჩავა. „ბაიერნის" მეგოლე ვარჯიშზე დაშავდა და მიუნხენში წავიდა. საეჭვოა არიენ რობენის თამაშიც, რომელსაც სავარაუდოდ, რობინ ვან პერსი შეცვლის. მარკო ვან ბასტენმა ტიმ დე კლერი, ჯონ ჰეიტინგა და ნაიჯელ დე იონგი სამშობლოში დატოვა.

„ასე იმიტომ გადავწყვიტე, რომ მათზე უკეთეს ფორმაში სხვები არიან" — თქვა მწვრთნელმა.

„ნარინჯისფერებს" მაკაისა და რობენის გარეშეც არ უნდა გაუჭირდეთ სომხების ძლევა, რომლებმაც ცხრა მატჩში მხოლოდ 4 ქულა აქვთ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 8 | 7 | 1 | 0 | 20:3 | 22 |
| ჩეხეთი | 8 | 7 | 0 | 1 | 28:7 | 21 |
| რუმინეთი | 10 | 6 | 1 | 3 | 17:10 | 19 |
| ფინეთი | 8 | 4 | 0 | 4 | 16:14 | 12 |
| მაკედონია | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | 8 |
| სომხეთი | 9 | 1 | 1 | 7 | 5:20 | 4 |
| ანდორა | 9 | 1 | 1 | 7 | 4:27 | 4 |

## ოთხჯერ სამის პირველი

IV ჯგუფი

საფრანგეთი — ფარერები

სავარაუდო შემადგენლობები

**საფრანგეთი:** კუპე, სანიოლი, ტურამი, ბუმსონგი, გალასი, ვიეირა, მაკელელე, დორასო, ზიდანი ვილტორდი, ანრი

**ფარერები:** მიკელსენი, იოჰანსენი, ჰორგი, იაკობსენი, ოლსენი, ბენჯამინსენი, ჰოისტედი, ბორგი, იორგენსენი, იონსონი, ფლოტუმი

შვეიცარია — ისრაელი

**დიახ,** საფრანგეთის ნაკრები ზინედინ ზიდანის დაბრუნების შემდეგ ფრთაშესხმულია, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთი ისეთი ოხერი რამ არის, რომ თუნდაც ფარერის კუნძულებს მასპინძლობდეს, გარანტირებული მაინც არაფერი აქვს. სატურნირო მდგომარეობას ცხრილიდან ხედავთ — ფრანგებს მოგება სჭირდებათ, მითუფრო, რომ ოთხშაბათს ჯგუფის ლიდერ ირლანდიასთან დუბლინში ელით თამაში. ერთი სიტყვით, ფრანგებმა ყველა დარჩენილ თამაშში მოგება უნდა სცადონ და ეს ყველაზე კარგად, ბუნებრივია, მწვრთნელს, რაიმონ დომენეკს ესმის.

„ექსპერიმენტების დრო აღარ გვაქვს, — ბრძანებს დომენეკი, — წინ ოთხი თამაშია და ჩვენ ოთხივე უნდა მოვიგოთ. ეს არის და ეს. თავისთავად ცხადია, რომ ამ მატჩთაგან ყოველი ფინალის ტოლფასია. აქ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ ზოგი მეტოქე შედარებით სუსტია და ზოგი შედარებით ძლიერი. ეს თამაშები საქულიანია და მორჩა"

თუ იგრძენით, თავად მწვრთნელიც საკმაოდ მტკიცე ტონით ლაპარაკობს სამ ქულასა და ყველა მატჩის მოგებაზე, რაც ისევ და ისევ ზიდანის დაბრუნებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ნაკრებიც ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში, კოტ დივუარის ეროვნულ გუნდთან საუკეთესო იყო რაიმონ დომენეკის ხელში.

და მაინც, დომენეკი თავის მოთამაშეებს აფრთხილებს, რომ ფარერებს ყურადღებით უნდა მიუდგნენ. შეგახსენებთ, რომ 2004-ის სექტემბერში ამავე გუნდების პირველი შეხვედრა ტორსჰავნში ფრანგთა გამარჯვებით 2:0 დასრულდა. სხვათაშორის, იმ დღეს მოედნიდან პატრიკ ვიეირა გააძევეს და დომენეკის გუნდმა მეორე ტაიმი 10 კაცით ჩაატარა.

„ეჭვი არ მეპარება, რომ ფარერელები პარიზში სენსაციური შედეგისთვის მოდიან, — ამბობს ფრანგთა მწვრთნელი, — ჩვენ არაფრით არ უნდა დავივიწყოთ, რომ იქაურ შეხვედრაში გვარიანად ვიწვალეთ. იმ დღეს ვიდეოჩანაწერს ვუყურებდით და თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ბევრ სიტუაციაში ფარერელები არც მეტი არც ნაკლები თავს კომფორტულად გრძნობენ. მათ შარაშან სექტემბერში დიდი ზეწოლა მოგვიწყეს და რომ მოვიგეთ ფრიად გაგვიმართლა"

ვილი სანიოლი, ფრანგთა მცველი:

„დღეს მოგებაცა და საერთოდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლაც ჩვენი მოვალეობაა"

მისი კოლეგა-მცველი უილიამ გალასი:

„ფარერებთან ფრე პროფესიული ფიასკო იქნება. ეს უბრალოდ იმის აღმნიშვნელი იქნება, რომ თამაშისთვის სწორად ვერ მოვემზადეთ. იმას კი არ ვამბობ, რომ მეტოქეს აგდებით ვუყურებ, მაგრამ ჩვენს პროფესიონალიზმსაც არ აქვს გარკვეული დონის დაბლა ჩასვლის უფლება"

სავარაუდოდ, დომენეკის ნახევარდაცვა ასე იქნება აწყობილი: მაკელელე და ვიეირა დაცვას გააკონტროლებენ, ზიდანი და დორასო კი შემტევ წყვილს, ანრისა და ვილტორდს მოამარაგებენ პასებით.

**პაპუნა ძიდია**

## პორტუგალიას შეუძლია

III ჯგუფი

რუსეთი — ლიხტენშტაინი

პორტუგალია — ლუქსემბურგი

ესტონეთი — ლატვია

**რუსეთის** ნაკრებმა ლატვიაში ფრით საქმე გაირთულა და დღეს ალბათ ლიხტენშტაინთან გაისწორებს. იური სიომინმა ლოკომოტიველ მარატ იზმაილოვს უხმო, რომელმაც ტრავმის მოშუშების შემდეგ „ამკართან" ითამაშა და გოლიც გაიტანა.

პორტუგალია ლუქსემბურგს მასპინძლობს. საინტერესო მხოლოდ ისაა, მასპინძელთაგან ჰეთ ტრიქს თუ დუბლს ვინ შეასრულებს.

„ვიცით, რომ ზედიზედ ორ შეხვედრაში (ლუქსემბურგთან და რუსეთთან) უნდა ვიმარჯვოთ. ეს იოლი არ იქნება, მაგრამ პორტუგალიას ამ მატჩების მოგება შეუძლია. ჩვენ ძალიან კარგ ფორმაში ვართ და უკვე მომავალ კვირაში ალბათ ჯგუფში პირველ ადგილს გავინაღდებთ" — თქვა კრისტიანო რონალდომ.



კრისტიანო რონალდო

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 8 | 6 | 2 | 0 | 24:4 | 20 |
| სლოვაკეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 22:7 | 18 |
| რუსეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 16:11 | 15 |
| ლატვია | 9 | 4 | 2 | 3 | 16:15 | 14 |
| ესტონეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:15 | 11 |
| ლიხტენშტეინი | 9 | 1 | 2 | 6 | 9:19 | 5 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 0 | 8 | 4:32 | 0 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## კუნმა შვეიცარია გააფრთხილა

**ბაზელში** ვინც მოიგებს, შესაძლოა დროებით, მაგრამ პირველ ადგილზე გადავა. ამიტომ ეს მატჩი ორივე გუნდისთვის უმნიშვნელოვანესია. მასპინძელთა მწვრთნელმა იაკობ კუნმა განაცხადა: „ბევრი რამ მსაჯზე იქნება დამოკიდებული. ისრაელი თელ-ავივურ შეხვედრაშიც უხეშობდა და იგივეს ველით დღესაც. ჩემი ფეხბურთელები საგანგებოდ გავაფრთხილე, რომ პროვოკაციებს არ აჰყვნენ და კამათისგან თავი შეიკავონ".

თელ-ავივში ისრაელის ნაკრების მოთამაშე ომრი აფეკმა შვეიცარიელ ტრანკილო ბარნეტას ფეხში ჩასცხო და ნახევარი წლით მოედანს ჩამოაშორა. კუნმა შეგირდებს დავიდ ტრეზეგეს ამბავიც გაახსენა. ტრეზეგემ საფრანგეთ-ისრაელის შეხვედრაში მეტოქეს უხეშობაზე უხეშობით უპასუხა, მსაჯმა არგასაგდები ფრანგი გააძევა.

ოთხ გუნდს ჯგუფიდან გასვლის მეტ-ნაკლებად თანაბარი შანსი აქვს.

„დიდი ხანია ვამბობ, რომ თანაბრობა უნდა დავარღვიოთ. ცხადია, მოგებას და პირველ ადგილზე გადასვლას ვგულისხმობ — აღნიშნა კუნმა — თუ ვიმარჯვეთ, სხვებზე უკეთეს ვითარებაში აღმოვჩნდებით".

რაც შეეხება ისრაელს, მცველმა ტალ ბენ ჰაიმ თქვა: „მცირე ტრავმა მაწუხებს, მაგრამ თამაში ძალიან მსურს. ჩვენთვის ეს ისეთი მნიშვნელოვანი მატჩია, როგორიც დიდი ხანია არ გვქონია. შვეიცარია ფავორიტია, თუმც ახლა ისეთ ფორმაში ვართ, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 7 | 3 | 4 | 0 | 11:4 | 13 |
| შვეიცარია | 6 | 3 | 3 | 0 | 13:4 | 12 |
| ისრაელი | 7 | 2 | 5 | 0 | 10:8 | 11 |
| საფრანგეთი | 6 | 2 | 4 | 0 | 5:1 | 10 |
| კვიპროსი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:12 | 4 |
| ფარერები | 7 | 0 | 1 | 6 | 3:20 | 1 |

### V ჯგუფი

**შოტლანდია — იტალია**

სავარაუდო შემადგენლობები

**შოტლანდია:** გორდონი, ალექსანდერი, უერი, უებსტერი, მაკნამარა, დეილი, ფლეტჩერი, ფერგიუსონი, ქუიში, ჰარტლი, მილერი

**იტალია:** პერუცი, ძამბროტა, ნესტა, კანავარო, ძაკარდო, კამორანეზი, პირლო, გატუზო, ტოტი, ვიერი, ჯილარდინო

**მოლდოვა — ბელარუსი**

**სლოვენია — ნორვეგია**

## რინო სქოთებში ბრუნდება



რინო გატუზო ადრე „რეინჯერსში" თამაშობდა

**რაც** სქოთებს სათავეში უოლტერ სმიტი უდგათ ნახევარდაცვაში ბარი ფერგიუსონს, დარენ ფლეტჩერსა და ნაიჯელ ქუიშის ერთად არ უთამაშიათ. სხვათაშორის, ფერგიუსონმა ხუთშაბათის ვარჯიშზე კოჭი იტკინა, მაგრამ გამოკეთდა და დღეს „ჰემპდენ პარკზე" ვიხილავთ. დისკვალიფიცირებულია სტივენ პრესლი, ასე, რომ ენდი ვებსტერი დევიდ უეირთან შექმნის წყვილს. ზურგის ტკივილის გამო ნაკრებს ვერ დაეხმარება გარი ოკონორი. ეს იმას ნიშნავს, რომ თავდასხმაში მასპინძლებს მხოლოდ კენი მილერი ეყოლებათ, რაც მათთვის ცუდია, რადგან ყველაფერს თავი რომ დავანებოთ ოკონორმა ავსტრიასთან ამხანაგურ შეხვედრაში ძალიან კარგად ითამაშა და ყველა ვარაუდობდა, რომ იტალიასთან აუცილებლად იქნებოდა მოედანზე.

სმიტი: „ეს ძალიან სამწუხაროა. ოკონორი ნაკრების ძირითადისკენ მშვენივრად იკვლევდა გზას და ჩემს ფიქრსა და გეგმაში იტალიასთან უნდა ეთამაშა."

როდესაც სქოთთა მწვრთნელმა შემადგენლობა გამოაცხადა, უპირველესად თავდამსხმელთა სიმცირეს გაუსვა ხაზი, თუმცა სიფრთხილეც გამოიჩინა და იქვე დასძინა, რომ ნაკრებში გამოუცდელი კრეიგ ბიტისა და ლი მილერისთვის პირველივე ჯერზე იტალია მეტისმეტი იქნებოდა. ცხადია, მეორე ფორვარდის ძიებას სმიტი შესაძლოა ეროვნულ გუნდში თექვსმეტჯერ ნათამაშევ სტივენ ტომპსონთან მიეყვანა, მაგრამ ამ თავდამსხმელს დღეს სათამაშო პრაქტიკა აკლია.

იტალიელებს არ ჰყავთ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი, რომლის ადგილსაც „ჰემპდენის" კარის ძელებს შორის 35 წლის ანჯელო პერუცი დაიჭერს. თავდასხმაში „მილანის" წყვილი, ალბერტო ჯილარდინო და კრისტიან ვიერი იქნებიან, მათ უკან კი რომაელი ვარსკვლავი ფრანჩესკო ტოტი.

„მილანის" წყვილი „სკუადრა ატურას" ნახევარდაცვის შუაშიც ეყოლება — ჯენარო გატუზოსა და ანდრეა პირლოზეა ლაპარაკი. სხვათაშორის, შოტლანდია და იქაური მაყურებლის განსაკუთრებული ხმაური გატუზოსთვის უცხო სულაც არ არის, რადგან მას „გლაზგო რეინჯერსში" აქვს ნათამაშევი.

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 4 | 1 | 1 | 9:5 | 13 |
| ნორვეგია | 6 | 2 | 3 | 1 | 6:3 | 9 |
| სლოვენია | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | 9 |
| ბელარუსი | 6 | 1 | 4 | 1 | 10:7 | 7 |
| შოტლანდია | 6 | 1 | 3 | 2 | 3:4 | 6 |
| მოლდოვა | 6 | 0 | 2 | 4 | 1:11 | 2 |

### VI ჯგუფი

**უელსი — ინგლისი**

სავარაუდო შემადგენლობები

**უელსი:** დენი კოინი; რიჩარდ დაფი, რობერტ პეიჯი, დევიდ პარტრიჯი, ჯენი გაბიდონი, სემ რიკეტსი, კარლ ფლეტჩერი, საიმონ დევისი, კარლ რობინსონი, რაიან გიგზი, ჯონ ჰართსონი.

**ინგლისი:** პოლ რობინსონი; ფილ ნევილი, ჯეიმი კარაგერი, რიო ფერდინანდი, ეშლი კოული, შონ რაიტ-ფილიპსი, დევიდ ბექემი, სტივენ ჯერარდი, ფრენკ ლამპარდი, ჯო კოული, უეინ რუნი

**პოლონეთი — ავსტრია**

**ჩრდ. ირლანდია — აზერბაიჯანი**

## ერიკსონის ნახაზები



სვენ გორან ერიკსონი ახალ სისტემას გამოცდის

**სამი კვირის წინ** დანიასთან შერცხვენილი ინგლისი კარდიფში უელსს ეწვევა, რომელსაც შესარჩევ ციკლში ჯერ მატჩი არ მოუგია. დღევანდელი შეხვედრა ამ გუნდებისთვის 99-ე იქნება. ინგლისს 63 მოგება აქვს, უელსს — 14, ხოლო ოცდაერთჯერ მეტოქეები დაზავდნენ.

დანიასთან ერიკსონის 4-4-2-მა არ გაამართლა. შვედი მწვრთნელი საუელსოდ ტაქტიკის შეცვლას აპირებს და მასპინძლებს 4-5-1-ს დაუპირისპირებს. ტრავმირებულ გარი ნევილს ადგილს სავარაუდოდ ჯეიმი კარაგერი დაიკავებს. შუახაზში ჯო კოული, ლამპარდი, ჯერარდი, ბექემი და შონ რაიტ-ფილიპსი ითამაშებენ, უეინ რუნი კი ეული თავდამსხმელი იქნება.

უეინ რუნის აზრით, მთავარი არიან გიგზის დამუხრუჭებაა: „რაიანი დიდებული ფეხბურთელია. ერთ კლუბში ვთამაშობთ და ვიცი, რა შეუძლია. გიგზს თუ გავაჩერებთ, მოგების მეტი შანსი გვექნება. ჩვენ საგულდაგულოდ მოვემზადეთ, თუმც უელსი ძლიერი გუნდია და ურთულესი მატჩი გველის".

რიო ფერდინანდს კი ჯონ ჰართსონის ეშინია: „როცა „ვესტ ჰემში" ერთად ვიყავით, ვარჯიშებზე მისი იდაყვი ხშირად მხვდებოდა ყბაში".

უელსელებს ტრავმირებული კრეიგ ბელამი დააკლდებათ. სამაგიეროდ, რაიან გიგზი და ჯონ ჰართსონი ითამაშებენ ჯონ ტოშაკი დარწმუნებულია, რომ ინგლისს კარდიფში ძალიან გაუჭირდება: „დაცვაში დგომას არ ვაპირებთ. ჩვენ შევუტევთ. როგორც უელსელს, მსურს, რომ ინგლისელთა ძლევით ქვეყანა გავახარო. რაც შეეხება უეინ რუნის, რომელიც ჩინებულ ფორმაშია, პერსონალურად არავის მივუჩენთ. ერიკსონის გუნდმა დანიასთან 1:4 წააგო, მაგრამ ეს კი არ გვახარებს, კიდევ უფრო გვირთულებს საქმეს, რადგან ინგლისელები მეტად მოტივირებულნი არიან. ჩვენ პრემიერლიგაში მოთამაშე სამი მცველი გვყავს და სამივე დაგვაკლდება, რაც მეტოქის წისქვილზე ასხამს წყალს".

უელსელებს არ ეყოლებათ რობი სევიჯი, რომელიც მწვრთნელს ეჩხუბა და ნაკრებში აღარ იწვევენ.

„ტოშაკს ვეზიზღები — თქვა სევიჯმა — ამას როგორმე გადავიტან, მაგრამ ჩემზე და მწვრთნელზე უფრო მთავარი უელსის ნაკრებია. ვაღიარებ, რომ როცა ვიჩხუბეთ, ბევრი სისულელე ვუთხარი. მსურდა, მომებოდიშებინა, მაგრამ ტოშაკი არ მელაპარაკება".

ცხრილის თავში მოქცეული პოლონეთისთვის ავსტრიასთან მატჩი უმნიშვნელოვანესია. მოგების შემთხვევაში მასპინძლები მეორე ადგილს მაინც გაინაღდებენ. მეორეს იმიტომ, რომ ინგლისმა დარჩენილ ოთხივე შეხვედრაში თუ მეტი ქულა თუ მოაგროვა, პირველ ადგილზე გადავა, პოლონელები კი პლეი ოფში მოხვდებიან.

რაც შეეხება ნავთობწარმოებულ აზერბაიჯანს, ისინი მასთავით ჯერ რაც მოუგებელ ჩრდილოირლანდიელებს ესტუმრებიან. ჩვენს მეზობლებს ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი ტრავმის გამო დააკლდებათ და საეჭვოა, რომ პირველი გამარჯვება ბელფასტში გაიფორმონ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 22:5 | 18 |
| ინგლისი | 6 | 5 | 1 | 0 | 13:3 | 16 |
| ავსტრია | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 11 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 0 | 3 | 3 | 5:13 | 3 |
| უელსი | 6 | 0 | 2 | 4 | 5:11 | 2 |
| აზერბაიჯანი | 7 | 0 | 2 | 5 | 1:17 | 2 |

## ლარსონს იბრაჰიმოვიჩი ახარებს

### VIII ჯგუფი

**უნგრეთი — მალტა**

**ისლანდია — ხორვატია**

**შვედეთი — ბულგარეთი**

**შვედეთის** ნაკრებს ბულგარეთთან გამარჯვების შემთხვევაში მდევრებისგან დასხლტომის კარგი შანსი აქვს. გეხსომებათ, რომ ეს გუნდები ერთმანეთს შარშან ევროპის ჩემპიონატზე შეხვდნენ და სკანდინავიელებმა მეტოქე 5:1 მიანგრიეს. ნაკრებში დაბრუნებულმა ჰენრიკ ლარსონმა ჩეხებთან ამხანაგურ მატჩში გოლი გაიტანა და ზლატან იბრაჰიმოვიჩთან ერთად ბულგარელებსაც შეუტევს.

„არ ვეთანხმები აზრს, თითქოს ამ შეხვედრის მოგებით მუნდიალის საგზურს მივუახლოვდებით. ჯერ არაფერი დასრულებულა. იბრაჰიმოვიჩმა ტრავმა მოიშუშა და ყველაზე მეტად ეს მახარებს. არაერთხელ მითქვამს, რომ მე და ზლატანი კარგად ვუგებთ ერთმანეთს.



ზლატან იბრაჰიმოვიჩი



ჰენრიკ ლარსონი

ბულგარელებთან თამაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ამიტომ მოსაგებად თავს არ დავზოგავთ" — თქვა ლარსონმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 6 | 5 | 1 | 0 | 16:3 | 16 |
| შვედეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 23:2 | 15 |
| უნგრეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:11 | 10 |
| ბულგარეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:11 | 8 |
| ისლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 10:18 | 4 |
| მალტა | 7 | 0 | 1 | 6 | 2:26 | 1 |

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

*ჩახედეთ ცხრილს, სერბეთ-ჩერნოგორია ევროპის ერთადერთი ნაკრებია მიმდინარე შესარჩევ შეჯიბრებაში გოლი რომ არ გაუშვია. და თუ პლავიმ ანუ ლურჯებმა გაშვებულ გოლთა გრაფაში ეს ნული ლიტვასა და ესპანეთთანაც თამაშების შემდეგაც შეინარჩუნეს, მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატამდე ხელის თუ ფეხის ერთი გაწვდენაღა დარჩებათ.*

*და ამ ყველაფრის სათავეში თანამდებობაზე 2003 წლის ივნისში დანიშნული ილია პეტკოვიჩი დგას. თარიღს კი ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ პეტკოვიჩმა საქმე აზერბაიჯანთან დამარცხებისა და ევრო 2004-ის შესარჩევში ჩაფლავებიდან ძალიან ცოტა ხანში ჩაიბარა...*

# ვფიქრობთ ლატვიაზე, რათა ვიფიქროთ ესპანეთზე, რათა ვიფიქროთ გერმანიაზე



**VII ჯგუფი**
**ბოსნია — ბელგია**
**სერბეთი — ლიტვა**

— ამ დღეებში ორი მნიშვნელოვანი შესარჩევი მატჩი გელით. როგორია განწყობა?

— ჩვენი გუნდის დამახასიათებელი თვისება თავდადებაა. ფეხბურთელები დღენიადაგ გერმანიის საგზურზე ფიქრობენ. დიდად გვეხმარება ხალხიც. ისინი გვაიძულებენ 2002 და 2004 წლების ჩავარდნები გადავლახოთ.

— წინ ესპანეთთან თამაშია, მაგრამ მანამდე ლიტვაა რიგში. ყურადღების პირველ მატჩზე მოკრება ხომ არ გიჭირთ?

— ერთადერთი, რაზეც ვფიქრობ, ლიტვასთან თამაშია. ჩვენთვის სწორედ ის არის გადამწყვეტი. ახლა რომ ვერ მოვიგოთ, მადრიდში ორქულიანი უპირატესობით ვერ ჩავალთ და განწყობაც უკვე სხვა გვექნება, ხოლო ლიტვასთან გამარჯვების შემთხვევაში მადრიდიდან ერთი ქულის წამოღებაც გამარჯვების ტოლფასი იქნება. ამ შემთხვევაში ჯგუფში მეორე ადგილი გარანტირებული გვექნება.

**— თქვენ მატია კეჟმანი ბელგიასთან შეხვედრაში არ გამოიძახეთ, ახლა კი ის თქვენს ბანაკშია. რატომ?**

— კეჟმანმა უკრაინაში გამართულ ვალერი ლობანოვსკის სახელობის ტურნირზე გოლი გაიტანა და ამიტომ დავაბრუნეთ გუნდში. ბელგიასთან თამაშის წინ კი მისი ფორმა არ მომწონდა. თუ გახსოვთ, კეჟმანმა „ჩელსიში" ბოლო ექვსი თვე სათადარიგოთა სკამზე გაატარა და პრაქტიკა აკლდა, ხოლო უკრაინაში მან და ნიკოლა ზიგიჩმა ჩინებულად გაუგეს ერთმანეთს.

**— ესპანეთს სახიფათო თავდასხმა ჰყავს. როგორ მოახერხეთ ბელგრადში გოლის არ გაშვება? და კიდევ, მადრიდშიც ბელგრადული ტაქტიკით აპირებთ თამაშს?**

— იმ შეხვედრაში ესპანელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და სამი საუცხოო მომენტი ვერ გამოიყენეს. რაც შეეხება ტაქტიკას, რაც გუნდში ვარ, არაფერი შემიცვლია. ექვსი წელიწადი 3-5-2-ის ერთგული გახლდით, შემდეგ კი 4-4-2-ზე გადართვა ვამჯობინე და ამ განლაგების უპირატესობისა მყარად მწამს.

**— ესპანელთაგან ყველაზე მეტად რომელ ფეხბურთელს უფრთხით?**

— ფერნანდო ტორესს. ის თანამედროვე სახიფათო ფორვარდია, რომელიც თავით ძალიან კარგად თამაშობს. მერედა, ტორესი ძალიან სწრაფია და მუდამ სათამაშო ეპიზოდში მონაწილეობას ცდილობს.

**— თქვენი დაცვის საიდუმლო რა არის?**

— რაც ნაკრების მწვრთნელი ვარ ერთსა და იმავე შემადგენლობას ვათამაშებ როგორც დაცვაში ასევე მთლიანად გუნდში. ბიჭებმაც ჩინებულადააწყეს ურთიერთმოქმედებანი, ხოლო ძლიერი დაცვა რომ მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტორია, რად უნდა ლაპარაკი. თუ გოლს არ უშვებ არ მარცხდები — მარტივი ლოგიკაა. მეორე მხრივ თავდასხმის გაუმჯობესება გვმართებს.

**— თქვენი ქვეყნის ნაკრებს ხშირად დატყობია, რომ უფრო ინდივიდუმების ერთობლიობაა, ვიდრე შედუღაბებული გუნდი...**

— 2003 წლის საშინელი ჩავარდნის შემდეგ ჩვენგან წავიდნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ დრაგან სტოიკოვიჩი, პრედრაგ მიატოვიჩი და დეიან სავიჩევიჩი. თავიდან მათი შეცვლა ვცადეთ, მაგრამ გაირკვა, რომ ეს შეუძლებელია. ასლები ორიგინალებს ძალიან ჩამორჩებოდნენ და შესაბამისად მთლიანად გუნდის გადაკეთება გადავწყვიტე. ფეხბურთელებს პირდაპირ, ასეთი სიტყვებით განვუცხადე: მორჩა, თქვენ დღეიდან ხელოვანნი აღარ ხართ, დღეიდან თქვენ მუშები იქნებით.

**— რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი ერისთვის მისი ნაკრების წარმატება?**

— ჩვენთან ნომერი პირველი სპორტი ფეხბურთია, მაგრამ უფრო დიდ წარმატებებს კალათბურთელები, ხელბურთელები, ფრენბურთელები და წყალბურთელები აღწევენ. ფანებს კი უნდათ მათ სიმაღლეებს ფეხბურთშიც მივაღწიოთ. სამწუხაროდ დიდი იარები 80-იანი წლების პოლიტიკურმა მოვლენებმა და იუგოსლავიის დაშლამ დაგვიტოვა. ერთი სიტყვით თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, ერი თავს ამაყად აწევს ეს ყველაფერი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლაში დაეხმარება. შესაძლებლობა კი მართლაც ძალიან ბევრისა გვაქვს.

**— და ბოლოს პროგრესის მიზეზი განგვიმარტეთ. აზერბაიჯანთან დამარცხების შემდეგ სერბეთ-ჩერნოგორიის ნაკრებმა მართლაც საოცრად იცვალა ფერი.**

— აზერბაიჯანთან დამარცხება ჩვენი ფეხბურთის ისტორიის უდაბლესი წერტილია. საერთოდ, ეროვნული გუნდის მდგომარეობა ზუსტად ასახავს მდგომარეობას ქვეყნის ფეხბურთში მთლიანად. მაშინ ისეთი პერიოდი იდგა, როდესაც კლუბები ფულის შოვნის მიზნით ფეხბურთელებს ყიდდნენ და ყიდდნენ, მერე კი „პარტიზანმა" ითამაშა ჩემპიონთა ლიგაში და თავისი მოთამაშეების შენარჩუნება სცადა, რასაც სხვა, უფრო პატარა კლუბებმაც მიბაძეს. ასე ნელ-ნელა გამოდის ჩვენი ფეხბურთი მძიმე მდგომარეობიდან, და უდიდესი ნიჭის წყალობით ეჭვი არ არის, სერბეთისა და ჩერნოგორიის ნაკრები ევროპის ერთ-ერთ ძლიერ გუნდად გადაიქცევა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 7 | 3 | 4 | 0 | 10:2 | 13 |
| სერბეთი | 6 | 3 | 3 | 0 | 10:0 | 12 |
| ლიტვა | 6 | 2 | 3 | 1 | 7:3 | 9 |
| ბელგია | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| ბოსნია | 6 | 1 | 4 | 1 | 7:8 | 7 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 2:23 | 0 |

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

# პენტაკამპეონების ოთხი ფორვარდი



კარლოს ალბერტო პარეირა (მარცხნივ) კაფუს არიგებს

**XVI ტური**
**პარაგვაი — არგენტინა**
**ვენესუელა — პერუ**
**ბოლივია — ეკვადორი**
**ბრაზილია — ჩილე**
**ურუგვაი — კოლუმბია**

**სამხრეთ ამერიკაში** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დასასრულს უახლოვდება და გარკვეული ჯერჯერობით მხოლოდ ერთი საგზურის მფლობელია. მოგეხსენებათ, არგენტინამ გერმანიაში მოხვედრა გასულ ტურში ბრაზილიის ძლევით. გაინაღდა. ხვალ პენტაკამპეონებსაც შეუძლიათ, მუნდიალზე ადგილი დაიკანონონ, თუ საკუთარ კედლებში ჩილეს დაამარცხებენ.

ბუნებრივია, მთელი ბრაზილია დარწმუნებულია, რომ კარლოს ალბერტო პარეირას შეგირდები გაიმარჯვებენ და ამაზე მეტად სხვა რამეზე ფიქრობენ. საქმე ის არის, რომ პენტაკამპეონთა თავკაცი მინდორზე ისევ 4 ნომინალური თავდამსხმელის გაყვანას აპირებს და, მისი თქმით, თუ ამ სისტემამ გაამართლა, ბრაზილია მუნდიალზეც ასე იბურთავებს. ხვალინდელ მატჩში წინ ადრიანო და რონალდო იქნებიან, მათ უკან კი რობინიო და კაკა (რონალდინიო დისკვალიფიცირებულია). ცხადია, ასეთი შეტევის შეჩერება ძალიან ძნელია, მაგრამ ჩილელები თავისას მაინც შეეცდებიან, რადგანაც წაგებამ ისინი შეიძლება ხუთეულს მიღმა დატოვოს.

„ოთხი ფორვარდით თამაში არ ნიშნავს იმას, რომ ყოველთვის ბევრ გოლს გაიტან. უბრალოდ, ჩვენ ამ სისტემას ვცდით და იმედია, ჩილესთან გაამართლებს. მუნდიალამდე საბოლოოდ დავხვეწთ შემადგენლობას და მერე გაირკვევა, ვის მოუწევს სათადრიგოთა სკამზე ჯდომა" — აღნიშნა კარლოს ალბერტო პარეირამ.

მე-16 ტურმა შეიძლება კიდევ ბევრ შეკითხვას გასცეს პასუხი. განსაკუთრებით საინტერესო ურუგვაისა და კოლუმბიის მატჩია. მასპინძელთა გამარჯვების შემთხვევაში სატურნირო ვითარება უკიდურესად დაიძაბება. ორივე გუნდი ფაქტობრივად უდანაკარგოდაა და საბრძოლველად ემზადება.

არგენტინის ნაკრები პარაგვაის სტუმრობს, ვისთანაც 1987 წლის ამხანაგური შეხვედრის მერე არ წაუგია. ხოსე პეკერმანმა ისევ გამოიძახა ლიონელი მესი, რომელიც ალბათ მინდორზეც გავა და რეალურად სადებიუტო მატჩს ჩაატარებს. მოგეხსენებათ, გასულ თვეში უნგრეთთან შეხვედრაში მოედანზე 44 წამის გასულმა მესიმ წითელი ბარათი მიიღო და თამაში არ დასცალდა.

მასპინძლებმა გამოთვალეს, რომ საკვალიფიკაციო ეტაპზე საიუბილეო მეასე მატჩს ატარებენ. თუმცა ამის გამარჯვებით აღნიშვნა თუნდაც იმიტომ გაუჭირდებათ, რომ ორ წამყვან ფორვარდს მოისიკლისებენ — ხოსე კარდოზოსა და როკე სანტა კრუზს.

ლიონელ მესი: „დაუჯერებელია, ყველაფერი ისე სწრაფად ხდება. ძალიან მიხარია და მეამაყება, რომ ისევ გამომიძახეს".

ეკვადორი უკვე უმოტივაციო ბოლივიას სტუმრობს და 3 ქულის მოპოვების შემთხვევაში ცალი ფეხით გერმანიაშია. თუმც ბოლივიაში თამაში რა ძნელიც არის, ყველასთვის ცნობილია, თანაც ლუის სუარესის გუნდს გასვლაზე თამაში ძალიან უჭირს და 8 შეხვედრიდან ოდენ ერთი ქულა აქვს აღებული. ეკვადორელებს შეუძლიათ თავი იმით გაიმხნევონ, რომ 2001 წლის ოქტომბერში ლა პასში 6:1 იმარჯვეს და ეს ბოლივიელთა ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო საშინაო მარცხია.

ვენესუელასა და პერუს მატჩმა კი, სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად მნიშვნელობა დაკარგა. გერმანიაში მოხვედრის თეორიული შანსი ორივე გუნდს შერჩა, მაგრამ ეს ფანტასტიკის სფეროა.

**გიორგი ძაძაგაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 15 | 9 | 4 | 2 | 27:15 | 31 |
| ბრაზილია | 15 | 7 | 6 | 2 | 26:16 | 27 |
| ეკვადორი | 15 | 7 | 2 | 6 | 21:18 | 23 |
| პარაგვაი | 15 | 6 | 4 | 5 | 21:22 | 22 |
| კოლუმბია | 15 | 5 | 5 | 5 | 20:12 | 20 |
| ჩილე | 15 | 5 | 5 | 5 | 17:16 | 20 |
| ურუგვაი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:26 | 18 |
| პერუ | 15 | 3 | 6 | 6 | 15:21 | 15 |
| ვენესუელა | 15 | 4 | 3 | 8 | 16:23 | 15 |
| ბოლივია | 15 | 4 | 1 | 10 | 17:30 | 13 |



# ლიონელ მესის იუვეც ესმის

**ტურინის** „იუვენტუსის" თავკაცები „ბარსელონას" ახალგაზრდა არგენტინელი ვარსკვლავით, ლეო მესით დაინტერესდნენ. სატრანსფერო ფანჯარა უკვე დაიხურა, თუმცა იქაური მედიის ცნობით, „იუვე" 2006 წლისთვის თანხებს არ დაიშურებს, რათა არგენტინელმა თავდამსხმელმა „დელე ალპზე" ითამაშოს.

„საშემოდგომოდ ფაბიო კაპელოსთვის უპირველესი სატრანსფერო მიზანი მესის შეძენა იქნება. „იუვენტუსის" დამრიგებელმა კლუბის უფროსობას თავისი ფავორიტი ფეხბურთელის ყიდვა უკვე სთხოვა. ამიტომაც 2006-შირ ტურინელები ალბათ „ბარსას" თავკაცობასთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდებიან" — ვკითხულობთ გუშინდელ იტალიურ **TUTTOSPORT**-ში. შეგახსენებთ, რომ 18 წლის ლეო მესის ოსტატობისთვის სამშობლოში „ახალი მარადონა" შეარქვეს, ხოლო არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა ხოსე პეკერმანმა ამას წინათ ლეოს ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერა უწინასწარმეტყველა, თქვა, ეს ბიჭი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარი სენსაცია გახდებაო.

**ლადო ხომერიკი**

# საზაფხულო სიხარული

**მიკაელ ესიენის** გამყიდველმა, „ლიონის" პრეზიდენტმა ჟან მიშელ ოლამ განაცხადა: „ესიენის გარეშეც არა გვიჭირს რა, ახალშეძენილი ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ. უმაღლესი კლასის ხუთი მოთამაშე დავიმატეთ, ჟუნინიოს და მამადუ დიარას კი კონტრაქტები გაუხანგრძლივეთ. თვითონაც არ მეგონა, რომ ნახევარდაცვის ბირთვს შევინარჩუნებდით, მაგრამ შევძელით. რაც შეეხება მიკაელ ესიენის გაყიდვას, სხვა გზა არ გვქონდა, რადგან მისი არგუშვება შეცდომა იქნებოდა. საზაფხულო ტრანსფერებით გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა."

„ლიონის" ახალწვეულმა, ბრაზილიელმა ფრედიმ თქვა: „როგორც კი „ლიონი" დამიკავშირდა, მაშინვე გადავწყვიტე საფრანგეთში წასვლა. ევროპულ ლიგაში თამაში ჩემთვის ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის შანსია და ამის გამოუყენებლობა შეცდომა იქნებოდა. კარლოს ალბერტო პარეირა ახლა ხშირად ნახავს „ლიონის" მატჩებს და ეგებ ნაკრებშიც მიმიწვიოს. ჩემი საქმე გოლების გატანა და ბედნიერი ვიქნები, თუ ყოველ თამაშში ერთი ბურთის შეგდებას მაინც მოვახერხებ. ვიცი, რომ ევროპული კლუბები დაცვაში უკეთ თამაშობენ, ვიდრე სამხრეთამერიკულები, მაგრამ ამის არ მეშინია."

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლეკიანობა ვიგოში

**არგენტინელი** მატიას ლეკი ერთი სეზონით ვიგოს „სელტაში" იბურთავებს. გუშინწინ ესპანური გუნდი „ლაციოს" შეუთანხმდა და ლეკიც 2005-06-ში „ბალაიდოსზე", იჯარით დარჩება.

„მატიას ლეკი „სელტასთვის" საჭირო ტრანსფერი გახლავთ. მე ბევრი რამ ვიცი ამ მცველის შესახებ და დარწმუნებული ვარ, იგი ესპანურ პრიმერადივიზიონში წარმატებით ითამაშებს" — განაცხადა ვიგოელთა პრეზიდენტმა ორასიო გომესმა.

სინიორ გომესმა მატიასის გარდა წლეულს კიდევ 13 ტრანსფერი (დიეგო პლასენტე, დანიელ რიდერი, ფერნანდო ბაიანო, ხოსე კანობიო და ა. შ.) განახორციელა. ასე რომ, ვიგოელები საამსეზონო ესპანურ პრიმერაში სერიოზულად იბრძოლებენ.

„სეგუნდადივიზიონში გატარებული ერთი სეზონის მერე ჩვენ გულშემატკივრებს „სელტას" ძლიერება ისევ უნდა დავუმტკიცოთ. ბიჭებმა თუ ერთობლივად იმოქმედებს, ბევრ გამარჯვებებს ვნახავთ" — იმედიანად დასძინა ორასიო გომესმა.

**ლადო ხომერიკი**

# ატლეტიკო ჩემპიონობას 80 მილიონადაც არ დათმობს

**მადრიდის** „ატლეტიკომ" თავის წამყვან ფეხბურთელებზე დიდ ევროპულ გრანდთა სატრანსფერო შემოტევებს ვაჟკაცურად გაუძლო. „ნიუკასლი", „ათლეტებს" ფერნანდო ტორესში 38 მილიონს სთავაზობდა. „ლივერპულმა" ლუჩანო გალეტისა და პაბლოს საყიდლად ერთად 20 მილიონი ევრო გაიმეტა. „იუვენტუსი" მზად იყო, ლუის პერეაში 12 მილიონი გადაეხადა. „ასტონ ვილას" გაბიზე შემოთავაზებული სატრანსფერო თანხა 6,5 მილიონი ევრო იყო, ხოლო არიელ იბაგასაში ყატარელები 3 მილიონ ევროს იხდიდნენ. ყველა ამ წინადადებას „ვისენტე კალდერონის" კლუბის თავკაცებმა მტკიცე უარით უპასუხეს" — წერდა გუშინდელი „ასი".

ჩანს, არგენტინელი კარლოს ბიანკი, „ატლეტიკოს" დამრიგებელი, საამსეზონო პრიმერადივიზიონის მოგებაზე სერიოზულად ფიქრობს და შეგირდთა მებრძოლი ბირთვის შენარჩუნებაც ამიტომაც გადაუწყვეტია. არადა თანხა, რომელიც ხსენებული „ათლეტების" გაყიდვით გუნდის ხაზინაში უნდა შესულიყო, საკმაოდ მსუყეა — 80 მილიონ ევრო.

„თუ ამ ბიჭებს სხვაგან გავუშვებდით, ესპანეთის ჩემპიონობაზე ხელი უნდა აგვეღო. ახლა კი ყველა დაინახავს, პრიმერადივიზიონში ჩემი გუნდი რა ანგარიშგასაწევი ძალაც იქნება" — განუცხადა „ასს" ბიანკიმ.



კარლოს ბიანკი „ატლეტიკოშიც" ჩემპიონობაზე ფიქრობს

მწვრთნელის ვარაუდის სისწორეს მომავალი გვიჩვენებს. ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ „ვისენტე კალდერონზე" წლევანდელ ჩემპიონობის მსურველ ახალწვეულთა მთელი არმია მოვიდა — ლუჩანო გალეტი, მარტინ პეტროვი, ვალერა, მაქსი როდრიგესი და მატეია კეჟმანი არომერას ჩემპიონობისთვის „ძველ ათლეტებთან" ერთად იბრძოლებენ.

**ლადო ხომერიკი**

# მარესკა ესპანეთს ლოცავს



**ტურინის** „იუვენტუსიდან" პრიმერადივიზიონის „სევილიაში" გადაბარგებულმა ენცო მარესკამ იტალიური ფეხბურთის გასაკრიტიკებლად მოიცალა: „სერია A არ მომწონს. ვიმედოვნებ, რომ ესპანეთში გადასვლით ჩემს შესაძლებლობებს სრულიად გამოვამჟღავნებ, როგორც შემტევი ნახევარმცველი."

„იუვესა" და „ფიორენტინას" ყოფილ ფეხბურთელს სურს, რომ ფორვარდების უკან ითამაშოს, ანუ გამთამაშებლად, რასაც „სევილიამდე" მოკლებული იყო.

„იტალიაში" მწვრთნელები მხოლოდ დაცვაზე ფიქრობენ, მე კი უფრო შეტევა მიყვარს. ესპანეთში ამ მხრივ უკეთესი ვითარებაა" — დასძინა მარესკამ.

ენცო მარესკას დებიუტი პრიმერადივიზიონის პირველ ტურში „სევილია" — „რასინგის" მატჩში შედგა, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს, თუმცა თავად იტალიელი გუშინწინ ვარჯიშზე დაშავდა და შესაძლოა, რამდენიმე შეხვედრა გამოტოვოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დეპორტივომ ტრისტანი ტოტენჰემს არ გაატანა

**გალისიელი** დიეგო ტრისტანი კვლავაც ესპანურ პრიმერადივიზიონში რჩება, თუმც საკმაოდ კარგი შანსი ჰქონდა, კარიერა ინგლისურ პრემიერლიგაში გაეგრძელებინა. „ტოტენჰემმა" ტრისტანის სანაცვლოდ 9 მილიონი ევრო შემოგვთავაზა, თუმცა ჩვენ ინგლისელებს უარი უუთხარით. მიუხედავად იმისა, რომ დიეგო ახლა ტრავმის გამო საუკეთესო ფორმაში არ იმყოფება, „დეპორტივოსთვის" იგი მაინც ძალიან საჭირო ფეხბურთელია" — განუცხადა გუშინ ესპანურ „მარკას" ავგუსტო სესარ ლენდოირომ, გალისიური გუნდის პრეზიდენტმა.

ტრისტანი ალბიონელებს თავიანთი თავდასხმის ხაზის გასაძლიერებლად უნდოდათ, თუმცა ლონდონელთა კატეგორიული უარის მერე „ტოტენჰემს" გოლების გატანა ისევ ადგილობრივი ძალებით მოუწევს. დიეგოს ჯერ ნატკენი მუხლი აწუხებს, თუმცა, როგორც „მარკა" იუწყება, ფეხბურთელმა გუშინ გუნდთან ერთად უკვე ივარჯიშა და მალე ესპანეთის ჩემპიონატში თავის ძველ დიდებასაც დაიბრუნებს.

**ლადო ხომერიკი**

# პანათინაიკოსი — ორი უმაყურებლო

**ჩემპიონთა** ლიგის მონაწილე ბერძნული „პანათინაიკოსი" მოთამაშეთა უხეშობის გამო დაისაჯა. „მარადიულ მტერ" „ოლიმპიაკოსთან" შეხვედრაში ათენელთა სამხრეთაფრიკელმა მცველმა მორისმა და მეკარე კოციოსმა ნერვები ვერ მოთოკეს, რის გამოც „პანათინაიკოსი" საბერძნეთის ჩემპიონატის ორ საშინაო მატჩს უმაყურებლო სტადიონზე ითამაშებს. მორისმა მეტოქე პრედრაგ ჯორჯევიჩს მაშინ მოსდო მწარედ ქეჩოში, როცა იგი გოლს ზეიმობდა, ხოლო გოლკიპერმა კოციოსმა სრულიად უწყინარი ეპიზოდში — ბურთისთვის იმ დროს სხვა ფეხბურთელები იბრძოდნენ — ოკასს წაავლო ხელი და ნოკაუტში ჩააგდო.

დასჯილი „პანათინაიკოსი" წლეულს ჩემპიონთა ლიგის C ჯგუფში „ბარსელონასთან", „ვერდერთან" და „უდინეზესთან" ერთადაა. ელინების პირველი შეხვედრა უდინეზესთან 14 სექტემბერს გაიმართება.

**ლადო ხომერიკი**

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

**ინგლისი. I ლიგა**

**3 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 27 | ჰარტლეპული-იოვილი | 1.70 | 3.30 | 4.35 | 1.12 | 1.22 | 1.87 |
| 15:05 | 28 | ბრისტოლი-კოლჩესტერი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 16:00 | 29 | ნოტინჰემი-ბრედფორდი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 16:00 | 30 | პორტ ვეილი-როტერჰემი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 16:00 | 31 | უოლსოლი-სუონსი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |

**4 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 32 | [illegible] | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |

**ინგლისი. II ლიგა**

**3 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 54 | [illegible] | 1.80 | [illegible] | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 16:00 | 55 | [illegible] | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |

**4 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 56 | [illegible] | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |

**ინგლისი. კონფერენსი**

**3 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 71 | [illegible] | 2.05 | 3.40 | 2.95 | 1.27 | 1.20 | 1.57 |
| 16:00 | 72 | [illegible] | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| 16:00 | 73 | [illegible] | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 15:00 | 74 | [illegible] | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| 15:00 | 75 | [illegible] | 2.75 | 3.40 | 2.20 | 1.52 | 1.22 | 1.33 |
| 15:00 | 76 | [illegible] | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 15:00 | 77 | [illegible] | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |

**5 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 78 | [illegible] | 1.90 | 3.50 | 3.30 | 1.23 | 1.20 | 1.69 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)**

**3 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 81 | [illegible] | 2.10 | 3.00 | 3.10 | 1.23 | 1.25 | 1.52 |
| 16:00 | 82 | [illegible] | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 16:00 | 83 | [illegible] | 1.50 | 3.20 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.72 |
| 16:00 | 84 | [illegible] | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 16:00 | 85 | [illegible] | 2.55 | 3.20 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| 16:00 | 86 | [illegible] | 3.20 | 3.10 | 1.95 | 1.57 | 1.21 | 1.19 |
| 16:00 | 87 | [illegible] | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |

**4 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 88 | [illegible] | 2.65 | 3.10 | 2.25 | 1.42 | 1.21 | 1.30 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)**

**3 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 93 | [illegible] | 2.15 | 3.10 | 2.90 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 16:30 | 94 | [illegible] | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 16:30 | 95 | [illegible] | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 16:30 | 96 | [illegible] | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 16:30 | 37 | [illegible] | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |

**შვეიცარია. ჩელენჯლიგა**

**4 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 98 | [illegible] | 1.50 | 3.70 | 5.10 | 1.06 | 1.15 | 2.14 |
| 18:00 | 99 | [illegible] | 2.10 | 3.30 | 2.00 | 1.59 | 1.21 | 1.24 |
| 16.30 | 102 | [illegible] | 1.60 | 3.60 | 4.20 | 1.10 | 1.15 | 1.93 |

**იტალია. სერია B**

**4 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 106 | [illegible] | 1.50 | 3.30 | 6.50 | 1.03 | 1.21 | 2.18 |
| 17:00 | 107 | [illegible] | 2.10 | 2.70 | 3.65 | 1.18 | 1.33 | 1.55 |
| 17:00 | 110 | [illegible] | 1.80 | 2.90 | 4.70 | 1.11 | 1.30 | 1.79 |
| 17:00 | 111 | [illegible] | 2.35 | 2.70 | 3.10 | 1.25 | 1.33 | 1.44 |
| 17:00 | 112 | [illegible] | 2.10 | 2.70 | 3.65 | 1.18 | 1.33 | 1.55 |
| 17:00 | 113 | რიმინი მოდენა | 2.40 | 2.70 | 3.00 | 1.27 | 1.33 | 1.42 |
| 17:00 | 114 | ტერნანა-ალბინოლეფე | 2.00 | 2.80 | 3.90 | 1.16 | 1.32 | 1.62 |
| 17:00 | 116 | ვიჩენცა-ჩეზენა | 2.25 | 2.70 | 3.30 | 1.22 | 1.33 | 1.48 |

**5 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 108 | ბოლონია-პესკარა | 1.50 | 3.30 | 6.50 | 1.03 | 1.21 | 2.18 |

**იტალია. სერია C1/A**

**4 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 117 | ფერმანა-პრო პატრია | 2.35 | 2.70 | 3.10 | 1.25 | 1.33 | 1.44 |
| 17:00 | 118 | ლუმეცანე-სან მარინო | 2.30 | 2.70 | 3.20 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| 17:00 | 119 | ნოვარა-ჩიტადელა | 2.20 | 2.60 | 3.40 | 1.19 | 1.33 | 1.47 |
| 17:00 | 120 | პადოვა-ჯულიანოვა | 1.55 | 3.00 | 6.50 | 1.02 | 1.25 | 2.05 |
| 17:00 | 121 | პავია-მონცა | 1.60 | 2.90 | 6.20 | 1.03 | 1.27 | 1.97 |
| 17:00 | 123 | რევენა-ჯენოა | 4.10 | 2.90 | 1.85 | 1.69 | 1.27 | 1.12 |
| 17:00 | 125 | ტერამო-სამბენედეტეზე | 2.35 | 2.60 | 3.20 | 1.23 | 1.35 | 1.43 |

**იტალია. სერია C1/B**

**4 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 126 | ფოჯა-სანჯოვანეზე | 2.25 | 2.60 | 3.30 | 1.20 | 1.33 | 1.45 |
| 17:00 | 127 | ჯელა-ლუკეზე | 2.70 | 2.60 | 2.65 | 1.32 | 1.33 | 1.31 |
| 17:00 | 128 | გროსეტო-კროტი | 1.60 | 2.90 | 6.30 | 1.03 | 1.27 | 1.98 |
| 17:00 | 129 | ლანჩანო-პისტოიეზე | 2.20 | 2.60 | 3.40 | 1.19 | 1.33 | 1.47 |
| 17:00 | 131 | მარტინა-სტაბია | 2.25 | 2.60 | 3.30 | 1.20 | 1.33 | 1.45 |
| 17:00 | 132 | ნაპოლი-მასესე | 1.30 | 4.00 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 2.81 |

**ესპანეთი. II დივიზიონი**

**3 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 137 | კასტელონი-ნუმანსია | 2.90 | 2.90 | 2.35 | 1.45 | 1.29 | 1.29 |
| 20:30 | 139 | ფეროლი-ლევანტე | 2.70 | 2.90 | 2.45 | 1.39 | 1.28 | 1.32 |
| 20:30 | 145 | უელვა-ტენერიფე | 2.00 | 3.00 | 3.55 | 1.20 | 1.27 | 1.62 |

**4 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 135 | ალბასეტე-ვალიადოლიდი | 2.05 | 3.00 | 3.40 | 1.21 | 1.27 | 1.59 |
| 21:00 | 136 | ალმერია-ხერესი | 2.40 | 2.90 | 2.85 | 1.31 | 1.30 | 1.43 |
| 22:00 | 138 | ელჩე-ლორკა | 1.70 | 3.10 | 4.60 | 1.09 | 1.24 | 1.85 |
| 21:00 | 140 | ტარაგონა-სპორტინგი | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 21:00 | 141 | მალაგა ბ-სიუდადი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 22:00 | 142 | მურსია-ეიბარი | 2.15 | 2.90 | 3.20 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| 21:00 | 143 | ეხიდო-ლეიდა | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 22:00 | 144 | რეალი(ბ)-ჰერკულესი | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |

**ბელგია. II დივიზიონი**

**3 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 159 | ჰეუსდენი-ვაასლანდი | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 22:00 | 160 | ლომელი-ეუპენი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 22:00 | 165 | ვირტონი-მეხელენი | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |

**4 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 158 | გეელი-ანტვერპენი | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 17:00 | 161 | მონსი-კორტრაიკი | 1.70 | 3.30 | 4.10 | 1.12 | 1.20 | 1.82 |
| 17:00 | 162 | ოსტენდე-დესელი | 1.55 | 3.40 | 4.80 | 1.06 | 1.17 | 1.99 |
| 17:00 | 163 | რონსე-ვიგორი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |

**საბერძნეთი**

**4 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 378 | ლევადეიაკოსი-იონიკოსი | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |

**დანია. I დივიზიონი**

**3 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 178 | ჰელერუპი-სკიოლდი | 1.65 | 3.60 | 4.20 | 1.13 | 1.18 | 1.93 |

**4 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 179 | ფრედერისია-ჰერფიოლგე | 2.45 | 3.40 | 2.35 | 1.42 | 1.19 | 1.38 |
| 15:00 | 180 | კოლდინგი-იოლსტიკე | 1.75 | 3.50 | 3.80 | 1.16 | 1.19 | 1.82 |
| 15:00 | 181 | ლიუნგბიუ-ფრემადი | 2.65 | 3.40 | 2.25 | 1.48 | 1.21 | 1.35 |
| 17:00 | 182 | კიოგე-აკადემისკი | 1.75 | 3.50 | 3.85 | 1.16 | 1.20 | 1.83 |
| 17:00 | 183 | ნიკიობინგი-ბრაბრანდი | 1.70 | 3.70 | 3.80 | 1.16 | 1.17 | 1.87 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### ნორვეგია. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 186 | ალტა-სტრიომსგოდსეტი | 2.80 | 4.00 | 2.00 | 1.64 | 1.16 | 1.33 |
| 18:00 | 187 | ბრინი-პიოდი | 1.45 | 4.20 | 5.50 | 1.07 | 1.14 | 2.38 |
| 18:00 | 188 | პიონეფოსი-სოგნდალი | 2.05 | 3.80 | 2.80 | 1.33 | 1.18 | 1.61 |
| 18:00 | 189 | ლოვ ჰამი-კონგსვინგერი | 2.40 | 3.80 | 2.35 | 1.47 | 1.18 | 1.45 |
| 18:00 | 191 | პორს გრენლანდი-მანდალი | 1.65 | 3.70 | 4.30 | 1.14 | 1.19 | 1.98 |
| 18:00 | 192 | სანდეფიორდი-სკეიდი | 1.40 | 4.50 | 6.00 | 1.06 | 1.13 | 2.57 |
| | | **5 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 190 | მოსი-ფოლო | 1.45 | 4.00 | 5.60 | 1.06 | 1.15 | 2.33 |

### შვედეთი. სუპერეტა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 200 | ბოდენსი-აიკ | 4.00 | 3.50 | 1.70 | 1.86 | 1.19 | 1.14 |
| 18:00 | 201 | ბრომაპოიკარნა-ნორჩიოპინგი | 2.30 | 3.30 | 2.55 | 1.35 | 1.20 | 1.43 |
| 18:00 | 202 | ლიუნგსკილე-დეგერფორსი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 18:00 | 203 | მიალბი-ტრელებორგი | 2.35 | 3.30 | 2.60 | 1.37 | 1.23 | 1.45 |
| 18:00 | 204 | ფრიოლუნდა-ვესბი | 2.30 | 3.40 | 2.60 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| | | **5 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 205 | გაის-ვესტეროსი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 21:00 | 206 | იორებრო-იოსტერსი | 2.10 | 3.30 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| 21:00 | 207 | ატვიდაბერგი-ფალკენბერგი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |

### იაპონია

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 სექტემბერი** | | | | | | |
| 13:00 | 225 | ჰიროსიმა-იჩიჰარა | 1.95 | 3.20 | 3.20 | 1.21 | 1.21 | 1.60 |
| 13:30 | 226 | ომია-ნიიგატა | 1.90 | 3.20 | 3.30 | 1.19 | 1.20 | 1.62 |
| 14:00 | 227 | ჩერეძო-კობე | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 14:00 | 228 | კაშიმა-ურავა | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 14:00 | 229 | კაშივა-ტოკიო | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 14:00 | 230 | ოიტა-ივატა | 2.65 | 3.10 | 2.30 | 1.42 | 1.23 | 1.32 |
| 14:00 | 231 | შიმიცუ-კავასაკი | 2.25 | 3.10 | 2.70 | 1.30 | 1.22 | 1.44 |
| 14:00 | 232 | ვერდი-გამბა | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| 14:00 | 233 | იოკოჰამა-ნაგოია | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |

### აშშ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 235 | ჩივასი-კოლამბუსი | 2.50 | 3.10 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| 23:00 | 236 | კოლორადო-ვაშინგტონი | 2.35 | 3.10 | 2.65 | 1.33 | 1.24 | 1.42 |
| 23:00 | 237 | დალასი-სან ხოსე | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 23:00 | 238 | ნიუ იორკი-კანზასი | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 23:45 | 240 | სოლტ ლეიკი-ნიუ ინგლენდი | 3.30 | 3.00 | 2.00 | 1.57 | 1.24 | 1.20 |
| | | **4 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 239 | ლოს ანჯელესი-ჩიკაგო | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |

### მჩ. შესარჩევი მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 253 | უელსი-ინგლისი | 7.00 | 3.80 | 1.40 | 2.46 | 1.16 | 1.02 |
| 18:00 | 254 | ანდორა-ფინეთი | 20.00 | 7.50 | 1.07 | 5.45 | 1.01 | 1.00 |
| 18:00 | 255 | ჩრდ.ირლანდია-აზერბაიჯანი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 256 | რუსეთი-ლიხტენშტაინი | 1.03 | 9.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.61 |
| 19:00 | 257 | ესტონეთი-ლატვია | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:15 | 258 | შვედეთი-ბულგარეთი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 19:30 | 259 | შვეიცარია-ისრაელი | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| 20:00 | 260 | მოლდოვა-ბელარუსი | 3.60 | 3.10 | 1.95 | 1.66 | 1.26 | 1.19 |
| 20:30 | 262 | შოტლანდია-იტალია | 6.00 | 3.40 | 1.55 | 2.17 | 1.23 | 1.06 |
| 21:00 | 263 | სომხეთი-ჰოლანდია | 16.00 | 7.00 | 1.08 | 4.86 | 1.01 | 1.00 |
| 22:00 | 264 | რუმინეთი-ჩეხეთი | 2.95 | 3.20 | 2.20 | 1.53 | 1.26 | 1.30 |
| 22:00 | 265 | თურქეთი-დანია | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 22:15 | 267 | ბოსნია-ბელგია | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 22:05 | 268 | ისლანდია-ხორვატია | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| 22:30 | 269 | სერბია-ლიტვა | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 22:30 | 270 | პოლონეთი-ავსტრია | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 22:45 | 271 | სლოვენია-ნორვეგია | 2.30 | 3.00 | 2.85 | 1.30 | 1.27 | 1.46 |
| 22:45 | 272 | უნგრეთი-მალტა | 1.05 | 8.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 6.06 |
| 23:00 | 273 | საფრანგეთი-ფარერები | 1.01 | 9.50 | 40.00 | 1.00 | 1.00 | 7.67 |
| 23:45 | 274 | პორტუგალია-ლუქსემბურგი | 1.01 | 9.50 | 40.00 | 1.00 | 1.00 | 7.67 |
| 17:00 | 276 | ზამბია-სენეგალი | 2.55 | 3.10 | 2.40 | 1.39 | 1.23 | 1.35 |
| 17:00 | 277 | კენია-ტუნისი | 5.30 | 3.40 | 1.55 | 2.07 | 1.19 | 1.06 |
| 22:00 | 278 | მალი-კონგო | 1.90 | 3.10 | 3.40 | 1.17 | 1.21 | 1.62 |
| 22:00 | 279 | ბურკინა ფასო-სამხ. აფრიკა | 3.70 | 3.10 | 1.85 | 1.68 | 1.23 | 1.15 |
| 23:45 | 280 | მაროკო-ბოტსვანა | 1.15 | 5.80 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.91 |
| 23:45 | 290 | ტრინიდადი-გვატემალა | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 291 | აშშ-მექსიკა | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 292 | პანამა-კოსტა რიკა | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 23:00 | 293 | ბოლივია-ეკვადორი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 23:45 | 294 | პარაგვაი-არგენტინა | 2.80 | 3.00 | 2.30 | 1.44 | 1.26 | 1.30 |
| 23:45 | 295 | ვენესუელა-პერუ | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 17:05 | 298 | უზბეკეთი-ბაჰრეინი | 1.90 | 3.10 | 3.60 | 1.17 | 1.24 | 1.66 |
| | | **4 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 281 | ზიმბაბვე-რუანდა | 1.35 | 4.20 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.55 |
| 18:00 | 282 | ანგოლა-გაბონი | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 18:30 | 283 | დრ კონგო-კაპე ვერდე | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 20:30 | 284 | გვინეა-მალავი | 1.35 | 4.20 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.55 |
| 19:30 | 285 | ტოგო-ლიბერია | 1.15 | 6.00 | 9.00 | 1.00 | 1.01 | 3.59 |
| 20:00 | 286 | კოტ დიუარი-კამერუნი | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 20:30 | 287 | განა-უგანდა | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 21:30 | 288 | ეგვიპტე-ბენინი | 1.15 | 6.00 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.88 |
| 23:30 | 289 | ალჟირი-ნიგერია | 4.00 | 3.30 | 1.75 | 1.80 | 1.21 | 1.14 |
| 23:00 | 296 | ბრაზილია-ჩილე | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| 23:00 | 297 | ურუგვაი-კოლუმბია | 2.05 | 3.00 | 3.40 | 1.21 | 1.27 | 1.59 |

### ევ. შესარჩევი მატჩები(21)

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 299 | სომხეთი(21)-ჰოლანდია(21) | 9.00 | 4.70 | 1.25 | 3.08 | 1.09 | 1.00 |
| 18:00 | 302 | რუმინეთი(21)-ჩეხეთი(21) | 2.40 | 2.90 | 2.75 | 1.31 | 1.28 | 1.41 |

### ამხანაგური მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 364 | სლოვაკეთი-გერმანია | 3.90 | 3.30 | 1.75 | 1.78 | 1.20 | 1.14 |
| 23:45 | 365 | ესპანეთი-კანადა | 1.10 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.53 |

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16255 | ჩრდ.ირლანდია-აზერბაიჯანი | 1.20 | 3.20 |
| 16257 | ესტონეთი-ლატვია | 1.90 | 1.60 |
| 16258 | შვედეთი-ბულგარეთი | 1.12 | 4.10 |
| 16259 | შვეიცარია-ისრაელი | 1.25 | 2.70 |
| 16260 | მოლდოვა-ბელარუსი | 2.30 | 1.40 |
| 16262 | შოტლანდია-იტალია | 3.10 | 1.20 |
| 16264 | რუმინეთი-ჩეხეთი | 1.85 | 1.60 |
| 16265 | თურქეთი-დანია | 1.50 | 2.00 |
| 16267 | ბოსნია-ბელგია | 1.80 | 1.65 |
| 16268 | ისლანდია-ხორვატია | 3.10 | 1.20 |
| 16270 | პოლონეთი-ავსტრია | 1.20 | 2.90 |
| 16271 | სლოვენია-ნორვეგია | 1.60 | 1.85 |
| 16290 | ტრინიდადი-გვატემალა | 1.50 | 2.10 |
| 16291 | აშშ-მექსიკა | 1.50 | 2.10 |
| 16292 | პანამა-კოსტა რიკა | 2.10 | 1.55 |
| 16293 | ბოლივია-ეკვადორი | 1.60 | 1.90 |
| 16294 | პარაგვაი-არგენტინა | 2.00 | 1.60 |
| 16295 | ვენესუელა-პერუ | 1.50 | 2.20 |
| 16296 | ბრაზილია-ჩილე | 1.02 | 6.00 |
| 16297 | ურუგვაი-კოლუმბია | 1.40 | 2.35 |

## ფორმულა 1. იტალია. 3 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი | 15.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | კლიენი | 120.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა | 17.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო | 35.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | სატო | 30.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | რ.შუმახერი | 40.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ვებერი | 40.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ჰაიდფელდი | 50.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | კულტჰარდი | 80.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | მ.შუმახერი | 10.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | მასა | 90.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო | 5.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტეირო | 150.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | კარტიკეიანი | 180.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ალბერსი | 200.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | დორნბოსი | 220.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტოია | 4.50 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი | 1.70 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ტრული | 20.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ვილნევი | 150.00 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10253 | უელსი-ინგლისი | 6.50 | 2.50 | 1.65 | 1.80 | 1.31 | 1.00 |
| 10255 | ჩრდ.ირლანდია-აზერბაიჯანი | 1.90 | 2.20 | 5.00 | 1.01 | 1.37 | 1.52 |
| 10257 | ესტონეთი-ლატვია | 3.10 | 2.00 | 2.65 | 1.21 | 1.42 | 1.13 |
| 10258 | შვედეთი-ბულგარეთი | 1.65 | 2.30 | 5.80 | 1.00 | 1.28 | 1.64 |
| 10259 | შვეიცარია-ისრაელი | 2.10 | 2.00 | 4.30 | 1.02 | 1.41 | 1.36 |
| 10260 | მოლდოვა-ბელარუსი | 4.00 | 2.00 | 2.35 | 1.33 | 1.48 | 1.08 |
| 10262 | შოტლანდია-იტალია | 5.00 | 2.00 | 1.90 | 1.42 | 1.37 | 1.00 |
| 10264 | რუმინეთი-ჩეხეთი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10265 | თურქეთი-დანია | 2.55 | 2.00 | 3.50 | 1.12 | 1.47 | 1.27 |
| 10267 | ბოსნია-ბელგია | 2.95 | 2.00 | 2.80 | 1.19 | 1.43 | 1.16 |
| 10268 | ისლანდია-ხორვატია | 6.30 | 2.20 | 1.80 | 1.63 | 1.39 | 1.00 |
| 10269 | სერბია-ლიტვა | 1.55 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.28 | 1.76 |
| 10270 | პოლონეთი-ავსტრია | 1.95 | 2.20 | 5.60 | 1.03 | 1.44 | 1.57 |
| 10271 | სლოვენია-ნორვეგია | 2.75 | 2.10 | 3.30 | 1.19 | 1.50 | 1.28 |
| 10290 | ტრინიდადი-გვატემალა | 2.60 | 2.00 | 3.40 | 1.13 | 1.47 | 1.25 |
| 10291 | აშშ-მექსიკა | 2.60 | 2.00 | 3.40 | 1.13 | 1.47 | 1.25 |
| 10292 | პანამა-კოსტა რიკა | 3.50 | 2.00 | 2.55 | 1.27 | 1.47 | 1.12 |
| 10293 | ბოლივია-ეკვადორი | 2.70 | 2.00 | 3.00 | 1.14 | 1.42 | 1.20 |
| 10294 | პარაგვაი-არგენტინა | 3.10 | 2.00 | 2.70 | 1.21 | 1.44 | 1.14 |
| 10295 | ვენესუელა-პერუ | 2.55 | 2.00 | 3.70 | 1.12 | 1.50 | 1.29 |
| 10297 | ურუგვაი-კოლუმბია | 2.45 | 2.00 | 3.80 | 1.10 | 1.48 | 1.31 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15253 | უელსი-ინგლისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15254 | ანდორა-ფინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15255 | ჩრდ.ირლანდია-აზერბაიჯანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15256 | რუსეთი-ლიხტენშტაინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15257 | ესტონეთი-ლატვია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15258 | შვედეთი-ბულგარეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15259 | შვეიცარია-ისრაელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15260 | მოლდოვა-ბელარუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15262 | შოტლანდია-იტალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15263 | სომხეთი-ჰოლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15264 | რუმინეთი-ჩეხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15265 | თურქეთი-დანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15267 | ბოსნია-ბელგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15268 | ისლანდია-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15269 | სერბია-ლიტვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15270 | პოლონეთი-ავსტრია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15271 | სლოვენია-ნორვეგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15290 | ტრინიდადი-გვატემალა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15291 | აშშ-მექსიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15292 | პანამა-კოსტა რიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15293 | ბოლივია-ეკვადორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15294 | პარაგვაი-არგენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15295 | ვენესუელა-პერუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15296 | ბრაზილია-ჩილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15297 | ურუგვაი-კოლუმბია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

# 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11253 | უელსი-ინგლისი | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.90 |
| 11255 | ჩრდ.ირლანდია-აზერბაიჯანი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11257 | ესტონეთი-ლატვია | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11258 | შვედეთი-ბულგარეთი | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11259 | შვეიცარია-ისრაელი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11260 | მოლდოვა-ბელარუსი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.80 |
| 11262 | შოტლანდია-იტალია | 6.50 | 10.00 | 20.00 | 8.00 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.10 |
| 11264 | რუმინეთი-ჩეხეთი | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11265 | თურქეთი-დანია | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11267 | ბოსნია-ბელგია | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11268 | ისლანდია-ხორვატია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.90 |
| 11270 | პოლონეთი-ავსტრია | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 8.00 | 20.00 | 10.00 | 7.50 |
| 11271 | სლოვენია-ნორვეგია | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11290 | ტრინიდადი-გვატემალა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11291 | აშშ-მექსიკა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11292 | პანამა-კოსტა რიკა | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11293 | ბოლივია-ეკვადორი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11294 | პარაგვაი-არგენტინა | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.10 |
| 11295 | ვენესუელა-პერუ | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11297 | ურუგვაი-კოლუმბია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დასრულების შემთხვევაში, ფსონი [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14253 | უელსი-ინგლისი | 2.60 | 1.20 |
| 14255 | ჩრდ.ირლანდია-აზერბაიჯანი | 1.30 | 2.50 |
| 14257 | ესტონეთი-ლატვია | 1.90 | 1.65 |
| 14258 | შვედეთი-ბულგარეთი | 1.20 | 2.60 |
| 14259 | შვეიცარია-ისრაელი | 1.40 | 2.40 |
| 14260 | მოლდოვა-ბელარუსი | 2.20 | 1.65 |
| 14262 | შოტლანდია-იტალია | 2.50 | 1.30 |
| 14264 | რუმინეთი-ჩეხეთი | 2.00 | 1.75 |
| 14265 | თურქეთი-დანია | 1.70 | 2.10 |
| 14267 | ბოსნია-ბელგია | 1.95 | 1.85 |
| 14268 | ისლანდია-ხორვატია | 2.50 | 1.25 |
| 14269 | სერბია-ლიტვა | 1.07 | 2.90 |
| 14270 | პოლონეთი-ავსტრია | 1.30 | 2.50 |
| 14271 | სლოვენია-ნორვეგია | 1.75 | 2.00 |
| 14290 | ტრინიდადი-გვატემალა | 1.74 | 2.00 |
| 14291 | აშშ-მექსიკა | 1.70 | 2.00 |
| 14292 | პანამა-კოსტა რიკა | 2.10 | 1.70 |
| 14293 | ბოლივია-ეკვადორი | 1.80 | 2.10 |
| 14294 | პარაგვაი-არგენტინა | 2.00 | 1.75 |
| 14295 | ვენესუელა-პერუ | 1.70 | 2.00 |
| 14296 | ბრაზილია-ჩილე | 1.04 | 2.90 |
| 14297 | ურუგვაი-კოლუმბია | 1.65 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13253 | უელსი-ინგლისი | 1.90 | 1.70 |
| 13255 | ჩრდ.ირლანდია-აზერბაიჯანი | 1.90 | 1.70 |
| 13257 | ესტონეთი-ლატვია | 1.70 | 1.90 |
| 13258 | შვედეთი-ბულგარეთი | 1.90 | 1.70 |
| 13259 | შვეიცარია-ისრაელი | 1.70 | 1.90 |
| 13260 | მოლდოვა-ბელარუსი | 1.90 | 1.70 |
| 13262 | შოტლანდია-იტალია | 1.90 | 1.70 |
| 13264 | რუმინეთი-ჩეხეთი | 1.70 | 1.90 |
| 13265 | თურქეთი-დანია | 1.70 | 1.90 |
| 13267 | ბოსნია-ბელგია | 1.70 | 1.90 |
| 13268 | ისლანდია-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 13269 | სერბია-ლიტვა | 1.90 | 1.70 |
| 13270 | პოლონეთი-ავსტრია | 1.70 | 1.90 |
| 13271 | სლოვენია-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 13290 | ტრინიდადი-გვატემალა | 1.60 | 1.90 |
| 13291 | აშშ-მექსიკა | 1.70 | 1.90 |
| 13292 | პანამა-კოსტა რიკა | 1.70 | 1.90 |
| 13293 | ბოლივია-ეკვადორი | 1.70 | 1.90 |
| 13294 | პარაგვაი-არგენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13295 | ვენესუელა-პერუ | 1.70 | 1.90 |
| 13296 | ბრაზილია-ჩილე | 1.90 | 1.70 |
| 13297 | ურუგვაი-კოლუმბია | 1.70 | 1.90 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12253 | უელსი-ინგლისი | 1.90 | 1.70 |
| 12254 | ანდორა-ფინეთი | 2.30 | 1.50 |
| 12255 | ჩრდ.ირლანდია-აზერბაიჯანი | 1.70 | 1.90 |
| 12257 | ესტონეთი-ლატვია | 1.70 | 1.90 |
| 12258 | შვედეთი-ბულგარეთი | 1.90 | 1.70 |
| 12259 | შვეიცარია-ისრაელი | 1.70 | 1.90 |
| 12260 | მოლდოვა-ბელარუსი | 1.70 | 1.90 |
| 12262 | შოტლანდია-იტალია | 1.70 | 1.90 |
| 12264 | რუმინეთი-ჩეხეთი | 1.70 | 1.90 |
| 12265 | თურქეთი-დანია | 1.70 | 1.90 |
| 12267 | ბოსნია-ბელგია | 1.70 | 1.90 |
| 12268 | ისლანდია-ხორვატია | 1.90 | 1.70 |
| 12269 | სერბია-ლიტვა | 1.70 | 1.90 |
| 12270 | პოლონეთი-ავსტრია | 1.90 | 1.70 |
| 12271 | სლოვენია-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 12290 | ტრინიდადი-გვატემალა | 1.70 | 1.90 |
| 12291 | აშშ-მექსიკა | 1.90 | 1.70 |
| 12292 | პანამა-კოსტა რიკა | 1.90 | 1.70 |
| 12293 | ბოლივია-ეკვადორი | 1.70 | 1.90 |
| 12294 | პარაგვაი-არგენტინა | 1.70 | 1.90 |
| 12295 | ვენესუელა-პერუ | 1.70 | 1.90 |
| 12296 | ბრაზილია-ჩილე | 2.00 | 1.60 |
| 12297 | ურუგვაი-კოლუმბია | 1.70 | 1.90 |

## გოლი:წყვილი-1ლუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17253 | უელსი-ინგლისი | 1.85 | 1.95 |
| 17254 | ანდორა-ფინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17255 | ჩრდ.ირლანდია-აზერბაიჯანი | 1.85 | 1.95 |
| 17256 | რუსეთი-ლიხტენშტაინი | 1.85 | 1.95 |
| 17257 | ესტონეთი-ლატვია | 1.85 | 1.95 |
| 17258 | შვედეთი-ბულგარეთი | 1.85 | 1.95 |
| 17259 | შვეიცარია-ისრაელი | 1.85 | 1.95 |
| 17260 | მოლდოვა-ბელარუსი | 1.85 | 1.95 |
| 17262 | შოტლანდია-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17263 | სომხეთი-ჰოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17264 | რუმინეთი-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17265 | თურქეთი-დანია | 1.85 | 1.95 |
| 17267 | ბოსნია-ბელგია | 1.85 | 1.95 |
| 17268 | ისლანდია-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17269 | სერბია-ლიტვა | 1.85 | 1.95 |
| 17270 | პოლონეთი-ავსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17271 | სლოვენია-ნორვეგია | 1.85 | 1.95 |
| 17272 | უნგრეთი-მალტა | 1.85 | 1.95 |
| 17273 | საფრანგეთი-ფარერები | 1.85 | 1.95 |
| 17274 | პორტუგალია-ლუქსემბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17290 | ტრინიდადი-გვატემალა | 1.85 | 1.95 |
| 17291 | აშშ-მექსიკა | 1.85 | 1.95 |
| 17292 | პანამა-კოსტა რიკა | 1.85 | 1.95 |
| 17293 | ბოლივია-ეკვადორი | 1.85 | 1.95 |
| 17294 | პარაგვაი-არგენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17295 | ვენესუელა-პერუ | 1.85 | 1.95 |
| 17296 | ბრაზილია-ჩილე | 1.85 | 1.95 |
| 17297 | ურუგვაი-კოლუმბია | 1.85 | 1.95 |



# ვუქომაგოთ საქართველოს გადარჩენას

## ფინეთში ქართული კალათბურთის ბედი წყდება







ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

საქართველოს მთავარი იმედი დღესაც შემონდ უილიამსი №10 იქნება

**ბოლო** ერთ წელიწადში ბევრჯერ ვახსენეთ, რომ ქართველები 3 სექტემბერს ყოფნა-არყოფნის მატჩში ფინელებს ხვდებიანო. ყოველი შემთხვევისთვის შეგახსენებთ, თუ რა ელის ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ამ შეხვედრის წაგების შემთხვევაში. რა და სუსტების B დივიზიონში ჩარჩენა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის ოცნებასთან მინიმუმ 2009 წლამდე გამოთხოვებაა. არადა, რომ ჰკითხო, საქართველოს კალათბურთის ფედერაციასა და ქვეყნის პირველ ოლიმპიელ ბადრი პატარკაციშვილს 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზე თამაშის პრეტენზია აქვთ, სადაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვდები, თუ 2007-ის ევროჩემპიონატზე იყოჩაღებ.

ოცნებას თავი დავანებოთ და ჰელსინკიში დავეშვათ, სადაც დღეს 16 საათზე ფინეთი საქართველოს შეერკინება. ამ მატჩისთვის ორივე გუნდი გულმოდგინედ ემზადებოდა, რადგან წაგების უფლება არც ერთსა აქვს და არც მეორეს. ფინელები საერთოდ კედელთან არიან მიყენებულნი — წაგება მათ ყოველგვარ იმედს უწურავს. ზემოთ კი ვთქვით, ქართველებისვისაც უმნიშვნელოვანესი მატჩია დღეს ჰელსინკშიო, თუმც წაგების შემთხვევაში მცირე თეორიული შანსი მაინც რჩებათ „ხუთჯვაროსნებს", ოღონდაც ეს იმდენად არარეალურია, რომ ლაპარაკიც არ ღირს.

თუ ფინელებს ახლაც ის მწვრთნელი ჰყავთ, შარშან რომ მოძღვრავდა, ქართველებს სამი თვეა, ახალი თავკაცი დაუნიშნეს. თუმც გორდონ ჰერბერტი რეალურად საქმეს ერთი თვის წინ შეუდგა, როცა „ხუთჯვაროსნები" იტალიაში შეიკრიბნენ.

იქიდან მოყოლებული, ჰერბერტი თავდაუზოგავად მუშაობს და თავის სათამაშო სტილს საქართველოს ნაკრებს არგებს, რაშიც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიაო, ამბობენ თავად კალათბურთელები. ერთი თვე შეკრებაზე ყოფნა და 9 სპარინგ-მატჩის გამართვა ზოგადად კარგ მომზადებას ნიშნავს, მაგრამ ქართველთა ეს იტალიურ-გერმანული ვოიაჟი მთლად სრულყოფილად ვერ ჩაითვლება. მიზეზი მარტივია: გუნდის უფროსობამ სრული შემადგენლობის შეკრება ვერ მოახერხა. ტრავმირებულებს რომ თავი დავანებოთ, ზაზა ფაჩულია, ნიკა ცქიტიშვილი და შემონდ უილიამსი ძალიან გვიან შეუერთდნენ ნაკრებს. ამ უკანასკნელმა სულაც ფინეთში გაფრენის წინა დღეს მოახერხა გერმანიაში ჩასვლა და, ცხადია, ვერც ერთ სპარინგ-მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო.

ერთი თვე იდეალურ პირობებში ერთად ყოფნა დიდებულია, მაგრამ ეს კეთილი საქმე სრულიად ვერ იქნა გამოყენებული გუნდის შეხათამაშებლად.

ასეა თუ ისე, ქართველებს მოგების მეტი მოტივაცია გააჩნიათ — შემადგენლობით უფრო ძლიერები არიან და იმიტომ. წესით, ჰერბერტის გუნდს არც ერთ რგოლში პრობლემა არ უნდა შეექმნას. ზაზა ფაჩულია, ვლადიმერ ბოისა და მათი წამშვლელებელი უგრეხელიძე-ცქიტიშვილი წინა ხაზში პრობლემას სავარაუდოდ მოხსნიან. უკანა ხაზში კი შემონდ უილიამსი არავის არ უნდა დაეჩაგვრინოს, შარშან ხომ პირადად მისი მეოხებით დავამარცხეთ თბილისში ფინელები.

სხვა რა ვთქვათ, მატჩი დღესაა და ყველაფერს გამოაჩენს. ისღა დაგვრჩენია, „რუსთავი 2"-ს მიუსხდეთ და 16 საათიდან ქართული კალათბურთის გადარჩენას ვუქომაგოთ პირდაპირ ეთერში.

**ირაკლი პერტაია**

| სასტარტო ხუთეული | საქართველო | ფინეთი |
| --- | --- | --- |
| სასტარტო ხუთეული | შემონდ უილიამსი | ტეემუ რანიკო |
| | ანატოლი ბოისა | შონ ჰუფი |
| | ნიკოლოზ ცქიტიშვილი | მიკო ნიოპილა |
| | ვლადიმერ ბოისა | ტუკა კოტი |
| | ზაზა ფაჩულია | ჰანო მოტოლა |
| | გიორგი ცინცაძე | ანტი ნიკილა |
| | ლაშა გამყრელიძე | სამი ლეჰტორანტა |
| | დავით საყვარელიძე | პეტრი ვირტანენი |
| | შიო ხეცურიანი | კიმი მურონენი |
| | გიორგი მარკოიშვილი | ჟური ლეჰტონენი |
| | გიორგი მდივანი | აკი ულანდერი |
| | დავით უგრეხელიძე | მაურიციო პრაცური |



# სრული კომპლექტი

## ძიუდოისტები პიკს მიუახლოვდნენ

გუშინ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ექვსი დღით ადრე, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ლიკანში საბოლოოდ დაკომპლექტდა. ერთადერთ თავისუფალ წონაში, 81 კილოგრამში, ეგვიპტის საგზურს ერთმანეთს გრიგოლ მამრიკიშვილი და გრიგოლ შინჯიკაშვილი ეცილებოდნენ. ეროვნულის თავკაცმა შოთა ხაბარელმა და შეკრებაზე მყოფმა სხვა მწვრთნელებმა კონკურენტები გუშინ დილით ოთხ-ოთხ, საღამოს კი ორ-ორ სპარინგს დააჭიდეს, თუმც გადაწყვეტილება ნაშუადღევს უკვე თითქმის მიღებული ჰქონდათ. სიახლესა და მსოფლიოსწინა სამზადისზე ხაბარელს სწორედ დილის ვარჯიშის შემდეგ ვესაუბრეთ



ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

გრიგოლ შინჯიკაშვილი

— ვინ იჭიდავებს 81 კილოგრამში?

— ალბათ პირად პირველობაზე შინჯიკაშვილი, ხოლო გუნდურში მამრიკიშვილი. ახლა მწვრთნელები ერთად დავსხდებით და ერთხელაც შევაჯერებთ აზრებს, მაგრამ შინჯიკაშვილს უკვე იმხელა უპირატესობა აქვს, ნაკრების წევრად აქვე დაგისახელებთ.

**— უფრო კონკრეტულად, როგორ ჩაატარეს სპარინგებთან შეხვედრები?**

— ოთხ-ოთხ მეტოქესთან ვაჭიდავეთ. შინჯიკაშვილმა ყველა მოიგო, მამრიკიშვილმა კი მხოლოდ ორი. საღამოს ვარჯიშზეც ორ-ორი შეხვედრა ჰქონდათ, მაგრამ ალარაფერი შეგვიცვლია.

**— ხომ არ ჯობდა, საგზურის ბედი ურთიერთშეხვედრებით გაერკვიათ?**

— ნამდვილად არა. ეს შეგნებულად გავაკეთეთ და, დარწმუნებული ვარ, სწორადაც მოვიქეცით.

**— დილის ვარჯიში ჩვეულებრივად ჩატარდა?**

— რა თქმა უნდა. სპარინგ-შეხვედრები ვარჯიშის დასრულების შემდეგ გაიმართა.

**— ამ ჭიდაობებს რაიმე უთანხმოებაც ხომ არ მოჰყოლია?**

— არანაირი. ძიუდოში ასეთი რამეები არ ხდება.

**— მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთი კვირაღა რჩება. ნაკრების წევრები ოპტიმალურ ფორმასთან უკვე ახლოს უნდა იყვნენ...**

— ბიჭების დღევანდელი ფორმით უმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. პიკს კი აღდგენითი ვარჯიშების ჩატარების შემდეგ მიაღწევენ. იგი უკვე დავიწყეთ.

**— რომელიმეს ფიზიკური ან ტექნიკური მზადყოფნით უკმაყოფილო ხომ არ ხართ?**

— საგანგაშო არაფერია. ყველა ნორმალურადაა.

**— არ იქნება, ზურაბ ზვიადაურზე ცალკე არ გკითხოთ...**

— ზურამ მთელი მოსამზადებელი ციკლი კარგად ჩაატარა და ზუსტად ისეა, ამ ეტაპზე რომ უნდა იყოს. დღევანდელ ვარჯიშზე მან ფეხი იტკინა, მაგრამ უკვე გადაჭრით შემიძლია გითხრათ, ტრავმა უმნიშვნელოა.

**— სხვებს ხომ არ აწუხებთ ტრავმები?**

— საბედნიეროდ, ყველა ჯანმრთელადაა.

**— ეგვიპტეში ჩემპიონატის დაწყების წინა დღეს ჩადიხართ. წონები როგორ გადანაწილდება დღეებზე?**

— 8 აგვისტოს ტატამზე ლაშა გუჯეჯიანი გავა. 11-მდე წონები ნელ-ნელა ქვემოთ წამოვა და ნესტორ ხერგიანი დაასრულებს, 12-ში კი გუნდური ჩემპიონატი გაიმართება.

**— ინტერვიუს დასაწყისში თქვით, რომ მამრიკიშვილი შეიძლება გუნდურზე საჭიდაოდ წაიყვანოთ. სხვაც ხომ არავინაა ისეთი, რომელსაც მხოლოდ გუნდურისთვის ამზადებთ?**

— ეგვიპტეში ირაკლი ცირეკიძე, ივერი ჯიქურაული და გიორგი ყიზილაშვილიც მოდიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## მეორე წრე

კაცები

**ანდრე აგასი** (7, აშშ) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 7:6 (7:4) 7:6 (7:5) 7:6 (7:4); **გილერმო კორია** (8, არგენტინა) — ვინსენტ სპადია (აშშ) 6:2 6:3 6:2; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — მარიანო პუერტა (10, არგენტინა) 3:6 6:4 6:3 6:7 (4:7) 6:1; **რიშარ გასკე** (13, საფრანგეთი) — ჯორჯო გალიმბერტი (იტალია) 6:1 3:6 6:3 3:2 *გალიმბერტიმ შეწყვიტა*; **სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი) — ტომას იოჰანსონი (14, შვედეთი) 6:3 6:2 4:6 6:1; **ივან ლიუბიჩიჩი** (18, ხორვატია) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 7:6 (7:5) 5:7 6:4 6:4; **ტომი რობრედო** (19, ესპანეთი) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 5:7 7:6 (7:3) 6:3 6:4; **მიხაილ იუჟნი** (24, რუსეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4 6:4 6:3; **ტომი ჰაასი** (29, გერმანია) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 7:6 (7:5) 6:2 6:0; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — იგორ ანდრეევი (რუსე№თი) 6:2 6:2 6:4

## ქალები

**ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — პოლინ პარმენტიე (საფრანგეთი) 6:1 6:1; **ამელი მორეზმო** (3, საფრანგეთი) — სესილ კარატანჩევა (ბოლგარეთი) 6:0 6:1; **ელენა დემენტიევა** (6, რუსეთი) — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 7:5 6:1; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (7, ბელგია) — მარია სანჩეს ლორენსო (ესპანეთი) 6:3 6:4; **პატი შნიდერი** (11, შვეიცარია) — მარტინა სუხა (სლოვაკეთი) 6:3 2:6 6:2; **მარი პირსი** (12, საფრანგეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:3 6:2; **ანასტასია მისკინა** (13, რუსეთი) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:3 6:2; **ნატალი დეში** (15, საფრანგეთი) — ვანია კინი (ჩინელი) 6:1 6:1; **ელენა ლიხოვცევა** (19, რუსეთი) — მაგდალენა მალეევა (ბოლგარეთი) 6:2 6:1

US OPEN 2005

# სიბრძნე სჯობია ღონესა
## ანდრემ ივო გადახერხა



მისი უქურუმესობა ანდრე აგასი

**ტურნირის** დაწყებამდე აშშ-ის ღია პირველობის ბადეს რომ ჩავხედეთ, ანდრე აგასის ქომაგთ — ცოტა არ იყოს — ჩოგანმა რეჩხი გვიყო. შეგვეშინდა, 35 წლის ბერიკაცი მეორე წრეში ამქრის უგირგლესი ხვადაგის, ივო კარლოვიჩის ამაზრზენ გლაჯუნს არ შესწირვოდა.

საბედნიეროდ შტეფი გრაფის მეუღლეს ჯერ კიდევ უხვად შესწევს საიმისო ძალაც და სიბრძნეც, კორტის დონიდან ორი მეტრისა და რვა სანტიმეტრის ამთვლელი ოყლაყები თავის მარმაშა კომბინაციებში რომ გაბლანდოს და მათ აუტანელ ჰოვსილას წარმატებულად დაუპირისპიროს ათას კორტზე შეძენილი გამოცდილება და 20-წლიანი კარიერისას სამართებლივით ალესილი ინტელექტი.

ჰოდა, ამ ჯერზეც ასე მოხდა — კარლოვიჩი უმოწყალოდ უბრახუნებდა და ჯამში 30 ეისს მოუკრა ჭიპი, აშშ-ის 1994 და 1999 წლების ჩემპიონი კი ბურთებს სტაბილურად აბინავებდა მეტოქის წილი კორტის უკიდურეს უჯრედებში და ახმახ მეტოქეს ბითურივით არბენინებდა.

სალოლ, ანდრანიკ ცავატანემ, იახდა ტრიბუნაზე მოკალათებული შტეფი და ნიუიორკული მილეთიც მას ჰალალად აძლევდა ბანს — გრძნეული არმენოამერიკელის ყოველი შეხვედრა ხომ მაცქერალს ცოცხალ კლასიკასთან ლაივში ზიარების საშუალებას აძლევს!

ხოლო ამ პოეტურ წიაღსვლას სტატისტიკურად თუ დავახურდავებთ, შემდეგი ცნობა გამოგვივა: ეს აგასის 73-ე სა-აშშ-ის-ღია-პირველობო გამარჯვება გახლდათ და იუესოუპენზე ყველაზე მეტი მატჩის მოგებათა ჩამონათვალში ის ლეგენდარულ ჩეხამერიკელ ივან ლენდლს გაუთანაბრდა. პირველი საფეხური ამ სიაში დიად ამერიკელ ჯიმი კონორსს უპყრია, ვინაც თავისი უხანგრძლივესი კარიერისას მშობლიურ სლემტურნირზე 98 თამაში მოიგო.

და კიდევ ორიოდ სიტყვა აგასის სიბრძნეზე — მისი დალვინებულობა და უზენაესი სიმწიფე იმითაც გამოიხატება, რომ ვინგინდავინ მეტოქის წინააღმდეგ ის შეცდომათა მინიმალურ რაოდენობას უშვებს. კარლოვიჩთან ბურთაობისასაც — რომელმაც, სხვათა შორის, ამ მატჩში 41-ჯერ მიჰქარა — მან მხოლოდ 11 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

„არ არსებობს ისეთი თამაშები, რომლებსაც მთელი შენი ჯიგრის დაუხარჯველად გასცდები — ამბობდა მერე ანდრე — მაგრამ დღეს მაინც განსაკუთრებული მობილიზება დამჭირდა, რადგანაც საკმარისი იყო, ოდნავ მოვდუნებულიყავი და ეგრევე ვიხიშტებოდი. ვითარებას უფრო ამძიმებდა ის, რომ მას პირველად ვეთამაშებოდი. კი ვიცოდი, რომ ძალიან უხერხული ამბავი მელოდა, მაგრამ ზოგიერთ მომენტში მაინც მეტისმეტად გამიჭირდა."

მომდევნო წრეში ქურუმი ჩეხ ტომაშ ბერდიხს შეხვდება, ვინაც იმ დღეს ბრაზილიელ რიკარდუ მელუს დასტურ გაუჯანჯლებლივ — 6:2 6:2 6:4 აჯობა.

სხვაფრივ — ჩინებული სანახავი იყო ადგილობრივთა ფალავანთაგანის, ჯეიმს ბლეიკის მიერ უსახელო რუსი ყმაწვილის, იგორ ანდრეევის ძლევა. კატასტროფული შარშანდელი წლის მერე, როცა ბლეიკმა კისრის უმძიმესი ტრავმა მიიღო და კორტს კი არა, კიდამ სიცოცხლესაც გამოეთხოვა, ის ახლა ნელ-ნელა საზეო ფორმას იბრუნებს და საამმომენტოდ უკვე ისე ბარაქიანად ჩოგნაობს, მესამე წრეში ვინძლო ამქრის 19 წლის ფასკუნჯ რაფაელ ნადალსაც გადაუჯოკროს.

ბლეიკზე ყურადღებას მით უფრო ვამახვილებთ, რომ ტურნირის შარშანწინდელი ჩემპიონის, ენდი როდიკის ოტების მერე ამერიკელ ხვადთა სა-აშ-პირველობო გამოსვლას საერთოდაც უფრო მეტი ყურადღება ექცევა.

ამ კონტექსტში გამორჩევით აღნიშვნას მოითხოვს ის გარემოება, რომ ბრგე ამერიკელმა ჭაბუკმა რობი ჯინეპრიმ მეორე წრიდან გააბუნძულა ლუქსემბურგელი ჟილ მიულერი, სწორედ ის, ვინაც წინა ეტაპზე ენდი როდიკი დაჩაგრა.

ჩვენი ამ ისე-რა მიმოხილვების კირკიტა მკითხველს ჭეშმარიტად ეხსომება ჩვენივე მოწოდება — ნუ გაგიკვირდებათ, როდიკის მძლეველ მიულერს მეორე წრეში ჯინეპრიმ რომ აჯობოს!

აგვიხდა თუ არა ჩემი განაფრთხილები? ჰოდა, ამიერიდანაც ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც რომ თქვენმა „ჩოგბურთზე მწერალმა" დაგიპროგნოზოთ...

კაცთაგან კი ყველაზე მსხვილი ლლავი როჯერ ფედერერის უმცროსმა ძმაკაცმა, სტანისლავ ვავრინკამ დაიჭირა, ვინაც წლევანდელი როლანგაროსობის ფინალისტი მარიანო პუერტა აოტა. პუერტა ჯიშად მეთიხნარე კაცია და კაი ბრახუნიც ჩოგანეწიფება, მაგრამ მაგარსაფარზე მაინც უსუსური უფროა, ვიდრე სუსურიანი. თუმცა სატრაბახოდ ისიც ეყოფა, მეტოქეს ხუთი სეტის შედეგად რომ დაუთმო.

რაც შეეხება მდედრიონს, აქ განთესილებმა კვლავაც უპრობლემოდ და სეტისწაუგებლად იგულავეს.

მესამე ნომრად განთესილმა ამელი მორეზმომ, რომელიც თავის პირველ სლემტიტულზე ნადირობს, ოდენ 50 წუთი მოანდომა ბოლგარელი წიწკვის, სესილ კარატანჩევას გაიმასქნებას. მორეზმო მართალაც ლამაზად გაირჯა ამ 16 წლის გოგუცანას წინააღმდეგ, მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ ასეთი ლალი ბურთაობა მას მხოლოდ უწლოვანებთან გამოსდის, მერე კი ნიადაგ იფლავებს ხოლმე.

მორეზმოზე ადრე კი იმავე არტურ ეშის სახელობის კორტზე კიდევ უფრო ხანმოკლე, 45-წუთიანი სპარინგი შეირგო ამქრის ამჟამინდელმა ჩემპიონმა და ტურნირის 1998 წლის ჩემპიონმა ლინდსი დევენპორტმა. 29 წლის ამაგდარმა ამერიკელმა უსახელოზე უსახელო ფრანგი, რეიტინგსიის 253-ეადგილოსანი პოლინ პარმენტიერი გაანადგურა.

ოდნავ მისჭირდა დევენპორტის პოტენციურ სანახევარფინალო მეტოქე ჟუსტინ ენენ-არდენს, რომელმაც რეიტინგსიის 95-ე საფეხურზე მდგომ ესპანელ მარია სანჩეს ლორენსოს ნაღდად იმაზე მეტი დრო მოანდომა, ვიდრე ეკადრებოდა.

დღეს ძალიან ცუდი პირობები იყო, მაგრამ გუშინდელს მაინც ყველაფერი სჯობდაო, ქლურტულებდა მერე ჟუსტინი და ასე დასძენდა, მოწოდება დღეს ასე რომ არ ჩამბანძებოდა, მარიას ამდენ ხანს არ გავაბლატავებდიო.

ერთადერთი განთესილი ბანოვანი, იმ დღეს რომ გამოვარდა, არგენტინელი ხისელა დულკო გახლდათ — რეიტინგსიის 27-ეადგილოსანს კორეელმა იონ ძეონ ჩომ უყელა.

**ლევან ძელაურაძე**



მარი პირსი





ჟუსტინ ენენ-არდენი

# შუმახერის ბოლო შანსი

**მონცაში** კვირას გაიმართება ფორმულა I-ის მსოფლიოს ჩემპიონატის მე-15 ეტაპი. გარკვეულ გარემოებათა გამო, მისი შედეგების შემდეგ ჩემპიონის გვირგვინის დაუფლების პრეტენდენტთა რაოდენობა, შესაძლოა, ორამდე შემცირდეს და მთავარი ჯილდოსთვის ბრძოლას მხოლოდ ფერნანდო ალონსო და კიმი რაიკონენი გააგრძელებენ.

ამ სეზონში გამარჯვების მათემატიკურ შანსს ინარჩუნებს აგრეთვე მესამე ადგილზე მყოფი მიხაელ შუმახერი, მაგრამ მისი მდგომარეობა ძალზე რთულია. მიხაელ შუმახერი ლიდერ ალონსოს 40 ქულით ჩამორჩება, ხოლო კიმი რაიკონენს — 16-ით.

ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი რბოლაღა რჩება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შუმახერის ქულათა მოგროვების მაქსიმალური შესაძლებლობა 50-ს აღწევს. ამიტომაც, მონცაში შუმახერმა უნდა გაიმარჯვოს ან, უარეს შემთხვევაში, პოდიუმზე მაინც ავიდეს, თუ, რა თქმა უნდა, სურს რომ ჩემპიონის გვირგვინისთვის მებრძოლებს შემორჩეს. ოღონდაც, არის კიდევ ერთი გარემოება — ფერნანდო ალონსომ მიხაელ შუმახერის შემდეგ უნდა დაინახოს კვადრატებით მოხატული დროშა.

ამასთან, დარჩენილ რბოლებში გერმანელ პილოტს წარმატებაში ხელი უნდა შეუწყოს ესპანელისა და ფინელის შედეგებმაც. და მხოლოდ ამგვარ



მიხეილ შუმახერი

პირობებში ექნება შუმახერს ამ ჩემპიონატში გამარჯვებისა გარანტია.

ასე რომ, უეჭველია, რომ ფერარელი „წითელი ბარონის" შანსები მიზერულია, მითუმეტეს, რომ წლეულს „მაკლარენი" და „რენო" „ფერარიზე" გაცილებით ძლიერები არიან.

**XV ეტაპი — იტალიის დიდი პრიზი**

**ავტოდრომი ნაციონალე**

*მონცა, 4 სექტემბერი*



**ტრასის სიგრძე**------------------------- 5.793 კმ

**რბოლის დისტანცია** --------------------- 53 წრე – 306.720 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე*

**შარშან:** ბარიკელო (ფერარი); 2 მ.შუმახერი (ფერარი); 3 ბატონი (B.A.R.); 4 სატო (B.A.R.); 5 მონტოია (უილიამსი); 6 კულჰარდი (მაკლარენი); 7 პიცონია (უილიამსი); 8 ფიზიკელა (ზაუბერი)

**წრის რეკორდი:** 2004 — ბარიკელო 1.21,046 (257,3კმ/სთ)

ეს კარგად იცის თავად შვიდგზის ჩემპიონმა შუმახერმა, ვისი მომავალიც ფორმულა I-ში ძველებურად მრავალ მითქმა-მოთქმასთანაა დაკავშირებული.

„მე ვამბობდი, რომ მანამ ვიბრძოლებ, სანამ თუნდაც მათემატიკური შანსი დამრჩება-მეთქი. მიუხედავად ამისა, მე მაინც რეალისტი ვარ. თურქეთშიც ვიცოდი, რომ ჩვენ საკმარისად კონკურენტუნარიანები არ ვიყავით. ასე რომ, არაფერი საკვირველი არ არის იმაში, რომ ჩვენ ასე ადვილად ვეთიშებით ტიტულისთვის მებრძოლთა რიგებს. გუნდი ყველაფერს გააკეთებს, რათა გასაკე დაბრუნდეს ლიდერთა ჯგუფში" — თქვა იტალიის გრან პრის კვირადღემდე მიხაელ შუმახერმა.

ასეა თუ ისე, შუმახერმა თავისი თავი ბოლოს უფრო წამგებიან ვითარებაში ჩააგდო: თურქეთის რბოლაში „ფერარი" ჩამოავლდა — რუბენს ბარიკელო მეათე იყო, ხოლო მიხაელ შუმახერმა ფინიშამდე საერთოდ ვერ მიაღწია. რბოლისას შუმახერის ბოლიდი განიცადა „უილიამსის" პილოტებთან შეჯახება, რასაც მისმა ბოლიდმა ვერ გაუძლო. ამიტომაც შუმახერი კიდევ ოთხ მრბოლთან ერთად შეიყვანეს პილოტთა პირველ ჯგუფს, რომელიც დღეს საკვალიფიკაციო რბოლას გახსნის.

შუმისთვის გამარჯვება ძალიან ძნელი იქნება. ამას ადასტურებს გუშინდელი პირველი პრაქტიკაც, სადაც „მაკლარენი" დომინირებდა. დე ლა როსამ საუკეთესო შედეგი აჩვენა — 1:20,201, ხოლო რაიკონენმა და მონტოიამ შესაბამისად მეხუთე და მეოთხე ადგილები დაიკავეს, მიხაელ შუმახერმა კი მხოლოდ მერვე შედეგი აჩვენა.

ამჟამად მოქმედი პილოტებიდან მონცაში გაუმარჯვიათ: მიხაელ შუმახერს (2003, 2000, 1998 და 1996 წლებში), რუბენს ბარიკელოს (2004 და 2002), დევიდ კულჰარდს (1997) და ხუან პაბლო მონტოიას (2001).



**სამი ერი 2005**

# ერთი ნაბიჯი, რომელიც გულშემატკივარს აშინებს

## დღეს ვოლაბთა რეპუტაციის და შავების გაჩემპიონების ამბავი გადაწყდება

**სამხრეთ** ნახევარსფეროს უმთავრესი სარაგბო ტურნირი, „სამი ერი", დღეს ოკლენდში, ედენ პარკზე დასრულდება.

ორი გრანდიდან, რომლებიც დღეს ერთმანეთს შეერკინებიან, გაპირველების შანსი მხოლოდ ერთსა აქვს და ამ ფაქტმა მატჩს დაძაბულობა უნდა მოაკლოს, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

ახალი ზელანდიას წარმატებისთვის ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვება ჰყოფნის, მაგრამ მათი მეტოქე ავსტრალიაა, გუნდი, რომელმაც მართალია, ტურნირზე ზეობის შანსი უკვე დიდი ხანია, დაკარგა, მაგრამ, სამაგიეროდ, კიდევ ბევრი რამაა ისეთი, რისთვისაც „ვოლაბებს" თავდადებით ბრძოლა მართებთ.

ჯერ ერთი, ახალ ზელანდიელებთან ოდინდელი სარაგბო მტრობა აკავშირებთ და უკან დახევის უფლება არა აქვთ. მეორეც, მათი პრესტიჟია გადასარჩენი. ჯერ არ ყოფილა, რომ ავსტრალიას „სამ ერზე" ოთხივე თამაში წაეგოს. საერთოდაც ამ ტურნირზე მხოლოდ ერთხელ, 1998 წელს მოხდა ისე, რომ ერთ-ერთმა მონაწილემ ყველა თამაში დათმო. მაშინ ეს უიღბლო ახალი ზელანდიის ნაკრები აღმოჩნდა.

„შავებს" ერთი ნაბიჯი დარჩათ გაჩემპიონებამდე, თუმც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მათ გულშემატკივარს ყველაზე მეტად ეს აშინებს. ზელანდიელებს დასწრებდათ, ბოლო მომენტში მოიმტვრიონ კისერი. ასე იყო შარშანაც, როდესაც სამი ერის თასზე თამაში რიხით დაიწყეს, შინ ორივე თამაში მოიგეს, შემდეგ კი გასვლითი შეხვედრები წააგეს და ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდნენ.

„ვოლაბთა" ქომაგს მაინც მეტი



ჯორჯ გრეგანის 114-ე კეპი დღეს შედგება

სანერვიულო აქვს. ასეთი ცუდი სეზონი ავსტრალიელებმა შეიძლება მეორე ვერც კი გაიხსენონ.

პრესა მწვრთნელს ემდურის, ქომაგი ჯორჯ გრეგანს უკიჟინებს, უკვე დაბერდი, წადიო, მოთამაშეები ან პაბებში ჩხუბობენ და დისკვალიფიკაციის გამო უწევთ თამაშების გამოტოვება, ან ტრავმირებულნი არიან.

ჯორჯ გრეგანისთვის ოქლენდური მატჩი საიუბილეოა. ამ თამაშში ის 114-ე საერთაშორისო კეპს მოიხვეჭს, რაც მსოფლიოს რეკორდია. ამავე დროს ეს მისი ბოლო შანსია, დაამტკიცოს, რომ ძველებურად შეუძლია „ვოლაბთა" ვაძლოლა.

ახალზელანდიელთა სამხრეთაფრიკის ნაკრებთან შეხლამ ყველას დაანახვა, რომ მაორები საუკეთესო ფორმაში არიან და გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ დაუძინებელი მტრის გაცამტვერებას შეეცდებიან.

2000 წლიდან მოყოლებული, „შავები" ავსტრალიელებს თორმეტჯერ გადაეყარნენ, 6 თამაში მოიგეს და ამდენივე დათმეს. სტატისტიკა გვეუბნება, თანაბარი თამაში უნდა იყოს, თუმცა ამ შემთხვევაში სტატისტიკა ძნელად სანდობი რამ გახლავთ. ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, ახალზელანდიელები დღეს ფავორიტები არიან.

**ახალი ზელანდია:** მილს მულიაინა, დაგ ჰაულეტი, ტანა უმაგა (კაპ), აარონ მაუგერი, ჯო როკოკოკო; ლეონ მაკდონალდი, პირი უიიპუ; როდნი სოოიალო, რიჩი მაკქოუ, სიონე ლაუაკი, ალი უილიამსი, კრის ჯეკი, კარლ ჰაიმანი, კევინ მეალამუ, ტონი ვუდკოკი

*სათადარიგონი:* *დერენ ვიტკომბი, გრეგ სომერვილი, ჯეიმს რაიანი, მარტი ჰოლა, კევინ სენიო, ლიუკ მაკალისტერი, კონრად სმიტი*

**სამხრეთ აფრიკა:** დრიუ მიტჩელი, მარკ ჯერარდი, კლაიდ რეთბოუნი, მორგან ტურინუი, ლოუთ ტუქრი; მეტ როჯერსი, ჯორჯ გრეგანი (კაპ); ჯორჯ სმიტი, ფილ ვუ, როკი ელსომი, ნათან შარპი, მარკ ჩიშოლმი, ალ ბაქსტერი, ბრენდან ქენონი, ბილ იანგი.

*სათადარიგონი:* *ადამ ფრაიერი, მეტ დანინგი, ალექს კანაარი, ჯონ რო, კრის უაითეკერი, ლაჩლან მაკეი, ლოიდ იოჰანსონი.*

**ლადო ფულუკიძე**



AFP რიმთადან

# ცოცხალი კოშკი

ჩინელი წყალაკრობატები ათასგვარი ილეთებით ართობენ ხალხს. ეს უთქმელადაც ჩანს ამ ფოტოებზე, ის კი უთუოდ აღსანიშნავია, რომ მოქმედება აღმოსავლეთ ჩინეთის შანდონგის პროვინციაში ხდება, სადაც იახტსმენთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიხსნა. სამი წლის მერე პეკინის ოლიმპიადაზე იახტსმენებს იგივე ალაგი უმასპინძლებს.



AFP რიმთადან

# ასტრონავტებმა ჰარდზე დააბიჯეს

ახლახან იყო: შატლ „დისქავერის“ გარსს ფილები რომ ასძვრა და, ყველა უკან ვეღარც დაბრუნდესო, რომ შფოთავდნენ. შატლი კი მშვიდობიანად დაბრუნდა დედამიწაზე, ასტრონავტები კი, რასაკვირველია, უმალ გმირებად იქცნენ. ამერიკას უყვარს თავისი გმირები და ამადაც მიიწვიეს „დისქავერის“ მეთაური ელინ კოლინზი და მისი „თანაგუნდელები“ ჩარლზ კარმადა (მარცხნივ) და სტივ რობინსონი US ოუფენის გახსნაზე.



AFP ნიუ იორკიდან

# ოქროს მოქნევა

აზიის მძლეოსანთა ჩემპიონატზე ქუვეითელმა ალი ზენკავიმ ურო 71.74 მეტრზე გასტყორცნა, რაც ყველაზე შორი ნასროლი გამოდგა. ცხადია, მას ოქრო ერგო, ჩემპიონატს კი სამხრეთკორეული ინჩეონი მასპინძლობს.





AFP ინჩეონიდან

# თითი იქით, თითი აქეთ

ამგვარ ფოტოებს მუდამ უხვადავრცელებენ სააგენტოები. აბა, ჩვენ რა ვიცით, თითების ამდაგვარი გადახლართვა რა კომბინაციას ნიშნავს, თავად ფოტო კი ურიგო არ არის. პლაჟფრენბურთელი ქალები კი მსოფლიო ტურის გასამართად ათენში შეკრებილან.





AFP ათენიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარეჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, კაკო ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კლაურაძე, ოთარ ძაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge